ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 თებერვალი 2004 №42 (2061) ფასი 50 თეთრი

# ცაიტნოტი






ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნაკრების მწვრთნელის მოსაფიქრებლად ცოტა დრო დარჩა



## ვის დაახვედრებს სააკაშვილს ჟორდანია მთავრობისგან დაწუნებული ბიშოვეცის სანაცვლოდ?

# ჩემპიონთა ლიგა
## 1/8 ფინალი. I მატჩები. ნუხელ

**დეპორტივო** (ლა კორუნია, ესპანეთი) 1:0 **იუვენტუსი** (ტურინი, იტალია)
1:0 ლუკე (38)
**დეპორტივო:** მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, ვიქტორი (მანუელ პაბლო 85), მაურო სილვა, სერხიო, ვალერონი, ტრისტანი (პანდიანი 69), ლუკე (ფრანი 81)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო (ბირინდელი 56), პესოტო (კონტე 63), ძამბროტა, ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (მიკოლი 46)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ნაიბეტი (63), კონტე (90)
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
28 000 მაყურებელი

**პორტუ** (პორტუგალია) 2:1 **მანჩესტერ იუნაიტედი** (ინგლისი)
0:1 ფორჩუნი (14), 1:1, 2:1 მაკკარტი (29, 78)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი (იანკაუსკასი 63), პ. მენდეში, მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი (მორაეში 83), კარლოს ალბერტო (რ. ფერნანდეში 75)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**მანჩესტერ იუნაიტედი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი (ოში 70), გ. ნევილი, ბრაუნი, ფორჩუნი, ბათი, კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, საჰა (კ. რონალდო 76)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფორჩუნი (30), ბათი (88)
გაძევება: კინი (87)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
49 977 მაყურებელი

**სოსიედადი** (სან სებასტიანი, ესპანეთი) 0:1 **ლიონი** (საფრანგეთი)
0:1 შურერი (18ს.კ.)
**სოსიედადი:** ვესტერფელდი, არანსაბალი, კვარმე, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (არანბურუ 74), კარპინი, გაბილონდო (ჩ. ლი 64), ალკისა, კოვაჩევიჩი, ნიჰათი (დე პაულა 80)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, სარტრე (ბერტოდი 66), მ. დიარა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, მალუდა, გოვუ (დორასო 80), ლუინდულა
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაფრთხილება: ბერტოდი (68), კუპე (73)
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
28 000 მაყურებელი

**შტუტგარტი** (გერმანია) 0:1 **ჩელსი** (ლონდონი, ინგლისი)
0:1 მეირა (12ს.კ.)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ლამი, სოლდო, მაისნერი (ტიფერტი 46), ჰელდტი (კაკაუ 66), გლები, კურანი, საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**ჩელსი:** კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯერემი,, მაკელელე, გრონკიაერი (დაფი 66), ლამპარდი, კრესპო (ჯ. კოული 89), გუდიონსენი (ჰასელბაინკი 73)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ლამპარდი (26), მაკელელე (28), კუდიჩინი (58), ბორდონი (66), ჯონსონი (87)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
42 000 მაყურებელი

*საპასუხო მატჩები გაიმართება 9 მარტს*



შტუტგარტი — ჩელსი. ფერნანდო მეირას კარი შეეშალა

## პორტუგალია
მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
კოვილია 1:1 ფეირენსე

## ჰოლანდია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ბრედა 1:0 გრონინგენი
ჰერენვენი 4:1 აიაქსი
დენ ჰააგი 1:0 როდა

## სლოვაკეთი
I ლიგა. გადადებული მატჩი
ტრენჩინი — პეტრჟალკა გადაიდო

## ინგლისი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ნოტინგემი 0:0 ჯილინგემი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი
გადათამაშება
ბირმინგემი 0:2დ.დ.(0:0) სანდერლენდი

## საბერძნეთი
თასის 1/4 ფინალი. I მატჩი
პროდეფტიკი 0:1 კასტორია

# მაკკარტიმ პორტუში დაუკრა


როი კინი ვიტორ ბაიას შესდგა
და წითელი ბარათიც აუფრიალეს

**მერვედფინალის** პირველი სერია დამთავრდა. „პორტუმ“ „მანჩესტერს“ ახალ, ევრო-2004-ისთვის აშენებულ „დრაგაუს“ სტადიონზე უმასპინძლა და გაწბილებული გაუშვა. ნამატჩევს გალიმებულ ჟოზე მაურინიუს გაწვდილ ხელს დაბღვერილი ალექს ფერგიუსონის ხელი შეეგება. ხელისგულებმა ერთმანეთი ხეირიანადაც კი ვერ იგრძნეს, ნაწყენმა სერ ალექსმა კოლეგას ბუზღუნი დაუწყო და მოედანზე მომხდარ რომელიღაც ეპიზოდზე ორიოდ სიტყვა უთხრა.

შოტლანდიელი მწვრთნელი, შესაძლოა, რომ კინის გაძევებამ გაახელა. ირლანდიელი ბალახზე კრავივით გაგორებულ ვიტორ ბაიას ქაცვებით შესდგა და ამგვარ საქციელს მსაჯი ნაღდად არ აპატიებდა. კინი საპასუხო მატჩს გამოტოვებს, რაც „მანჩესტერისთვის“ საგრძნობი დანაკლისი იქნება.

ალექს ფერგიუსონმა თავად ნახა და დარწმუნდა — „პორტუ“ იმ გუნდების კატეგორიას არ განეკუთვნება, შინ ერთბურთიანი სხვაობით გაჭირვებით რომ მოიგებს, „ოლდ ტრეფორდზე“ კი მუხლაკანკალებული მასპინძლებს უმალ დანებდება. ბოლოს როდის მოხდა, მანჩესტერელებისთვის თამაში ვინმეს შემოებრუნებინოს, ძნელი გასახსენებელია. ამ საქმის სპეციალისტებად ხომ თავად შოტლანდიელის შეგირდები ითვლებიან. „პორტუმ“ შემოაბრუნა, თან აშკარად გამარჯვებას იმსახურებდა, რადგან ისეთივე ფეხბურთი ითამაშა, როგორიც შარშან, უეფას თასისკენ მიმავალ გზაზე. ბენი მაკკარტის მეორე გოლი ხომ ამ მატჩის მშვენება იყო. მოკლედ, ორი კვირის შემდეგ, „ოლდ ტრეფორდზე“ კიდევ ერთი მადლიანი შეხლა გაიმართება. „მანჩესტერში“ რაღაც მოიშალა და ფერგიუსონს გვარიანი ჩხირკედელაობა მოუწევს გუნდის ხელახლა მოსამართად.

მერვედფინალისტები ძალიან ძუნწობენ. ეს დალოცვილი ბურთი მრგვალი რომ არ იყოს, მცველები საკუთარ კარშიც ველარ ჩაჭრიდნენ და მოგვიწევდა მთქნარება სასტვენიდან სასტვენამდე.

ნიჰათ კაჰვეჩი იმუქრებოდა, „ლიონთან“ აუცილებლად გავიტანო — ვერ გაიტანა. საფრანგეთის ჩემპიონებმა „სოსიედადის“ ფრანგ მწვრთნელს გასქელებული დაცვა დაუყენეს. არ გაუმართლა გაბრიელ შურერს — საკუთარ კარში შეაგდო ბურთი. ეს ამბავი შეხვედრის დასაწყისში მოხდა და ბასკურ გუნდს დრო და მომენტი თავზესაყრელი ჰქონდა, მაგრამ არ იყო ბასკთა დღე. საქმის საბოლოო გარჩევა ლიონში შედგება, იქ კი ისეთი გუნდები წაუქცევიათ...

შტუტგარტში, ფელიქს მაგათის მატჩისწინა გეგმა ასეთი იყო — ჩვენი გუნდური თამაში „ჩელსის“ ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ — გერმანელებმა კარგად ითამაშეს, „ჩელსის“ საჯარიმო ფეხქვეშ გაიგდეს, მაგრამ ამაოდ. ფერნანდო მეირამ გაბრიელ შურერს სოლიდარობა გამოუცხადა და ტიმო ჰილდებრანდს გაუტანა. 0:1 და ამ შედეგით ერთი რეკორდი შეწყდა. მეორე გრძელდება. „შტუტგარტს“ ზედიზედ შვიდი საშინაო მატჩი ჰქონდა ევროთასებზე მოგებული და დამარცხდა, „ჩელსიმ“ კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოყოლებული მეხუთე გასვლითი შეხვედრა მოიგო, თან ისე, რომ გოლი არ გაუშვია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რვაფეხა
## კრისტიან ვიერი დაბომბეს




**მეტსახელად** „ბობო“, იგივე „მუნჯი“, იგივე „ბიზონი“, მილანში რესტორან „ბაკი და აბრაჩის“ თანამფლობელი, იმავდროულად გოლის გამტანი და „ინტერის“ ფეხბურთელი კრისტიან ვიერი გუშინ გვარიანად დაზარალდა.

თავად „ბობოს“ ყველაფერი ადგილზე აქვს, მაგრამ „ბაკი და აბრაჩიში“ ვიღაც არამზადამ ბომბი დაუდო და რესტორანს ბოლი გაადინა. საბედნიეროდ, კარის თავზე დაკიდებულლი აბრის გარდა არავინ და არაფერი დაზიანებულა... ვიერისთან ერთად ზარალი „ინტერის“ ყოფილმა, ახლა კი „მილანის“ ფეხბურთელემა კრისტიან ბროკიმაც გაიზიარა, რადგან წილში ყოფილა.

პოლიციამ ბოლის გაფანტვისთანავე იქაურობა გაჩხრიკა და წერილი აღმოაჩინა, რომლის წაკითხვაც ჯერ თვითონ სცადეს, მაგრამ ვერ გაარჩიეს და ჟურნალისტებს გადასცეს. წერილის შინაარსი შემაძრწუნებელია: „მოთმინების ფიალა აგვევსო. კრისტიან, შენ „ინტერის“ მაისურის ღირსი არა ხარ, რადგან ვხედავთ, რომ ჩვენი ტანჯვა ფეხებზე გკიდია. შურისძიების დრო დადგა და ძვირად დაგისვამთ, შე...“

გუშინწინ იგივე ამბავი მოხდა ერთ-ერთ სხვა რესტორანშიც, რომელიც ადრე ფაბიო კანავაროს ეკუთვნოდა. ლოგიკიდან თუ ვიმსჯელებთ, მცველი, თავდამსხმელი... ახლა ნახევარმცველის ჯერია, ასე რომ, მორიგ აფეთქებას სტამბოლში, ემრე-ოკანის საწილო ჩაიხანაში უნდა ველოდოთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. პირველი მატჩები



დადო პრსოს და ვლადიმირ მამინოვის თავბურთი

# მადლობა შფალს ორჯერ

**ლოკომოტივი** (მოსკოვი, რუსეთი) 2:1 **მონაკო** (საფრანგეთი)
1:0 იზმაილოვი (32), 2:0 მამინოვი (59), 2:1 მორიენტესი (69)
**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, სენიკოვი, **ასათიანი**, პაშინინი, გურენკო, ევსეევი, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი (ნიჟეგოროდოვი 82), იზმაილოვი (პარკსი 78), **აშვეთია** (ობიორა 46)
მწვრთნელი: იური სიომინი
**მონაკო:** რომა, იბარა, გივე, როდრიგესი, ევრა, ე. სისე, ზიკოსი, ბერნარდი, როტენი, პრსო (ადებაიორი 65), მორიენტესი
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
გაფრთხილება: პარკსი (90)
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი); 26 000 მაყურებელი

რამდენიმე სტრიქონით წარსულს დავუბრუნდეთ: „მონაკო“ მოსკოვს ბოლოს 1990 წელს ეწვია და უეფას თასზე „ტორპედოსთან“ 1:2 დამარცხდა. ფრანგულმა გუნდმა შინაც იგივე ანგარიშით წააგო და გათამაშებას გამოეთიშა.

ერთი წლის შემდეგ რუსეთის დედაქალაქს „კანი“ ესტუმრა, რომლის შემადგენლობაშიც მაშინ ყმაწვილი ზიდანი თამაშობდა. „კანმა“ მოსკოვის „დინამოსთან“ ორმატჩიანი დუელი დათმო.

ეს ამბები იმიტომ გავიხსენეთ, რომ პოსტსაბჭოური ეპოქის დასაწყისიდან დღემდე რუსულ კლუბს ფრანგული ორრაუნდიან ბრძოლაში აღარ დაუმარცხებია, „ლოკომოტივის“ გამარჯვება „მონაკოსთან“ კი სულაც რუსების პირველი მოგება აღმოჩნდა ფრანგებზე ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში.

იური სიომინს ძალიან სურდა, რომ მის გუნდს ისევე ეთამაშა, როგორც გასულ შემოდგომაზე მოსკოვში „ინტერთან“. მწვრთნელის სურვილი პირველ ტაიმში ახდა. „ლოკომოტივი“ მეტოქეზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. მასპინძლები დაცვაში მოწესრიგებულნი იყვნენ და შეტევაშიც სწრაფად გადიოდნენ.

„მონაკოს“ ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი აკლდა. მცველ სებასტიან სკილაჩის დეშანმა შემცვლელი მოუძებნა, მაგრამ ლუდოვიკ ჟიულის არყოფნა გუნდს აშკარად დაეტყო — საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის მთავარკანდიდატი სრულფასოვნად ვერავინ შეცვალა. მონაკოელებს ბურთის დაჭერა და იერიშების ორგანიზება უჭირდათ. ისინი გრძელი პასებით ცდილობდნენ ფორვარდების მომარაგებას, მაგრამ უხეიროდ. ფაქტობრივად, სტუმრებმა პირველ ტაიმში კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს.

მასპინძლებს დაწინაურება ორჯერ მალევე შეეძლოთ. მიხეილ აშვეთიამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენა. განსაკუთრებით მეორე ეპიზოდში მართებდა გატანა, რადგან ფლავიო რომასთან პირისპირ დარჩენილს დარტყმისას ხელს არავინ უშლიდა.

თავისი შანსი მარატ იზმაილოვმა არ გაუშვა. საჯარიმოში ნათოვლარზე ორი მცველი მიმოფანტა და ბურთი ცხრიანში შეაჭიკარტა.

გამოუყენებელი მომენტების გამო თუ იყო, რომ იური სიომინმა მიხეილ აშვეთია ჯეიმს ობიორათი შეცვალა. ცვლილებამ აშკარად არ გაამართლა, რადგან ნიგერიელი ფორვარდი მთავარ ჯგუფს საფუძვლიანად მოსწყდა, ბურთისთვის ორთაბრძოლებს აგებდა, შეტევას ვერ აგრძელებდა და „მონაკოს“ მცველებსაც ამოსუნთქვისა და იერიშებში ჩართვის მეტი საშუალება გაუჩნდათ.

„ლოკომოტივმა“ საკუთარი ნახევრისკენ დაიხია და დროდადრო მეტოქეს სჩხვლეტდა, თუმც ისე სახიფათოდ ველარ, როგორც შესვენებამდე. მიუხედავად ამისა, მასპინძელთა შეტევა გოლით მაინც დასრულდა. „მონაკოს“ მცველები საჯარიმოში რამდენიმე რიკოშეტისგან დაიბნენ, ევსეევმა ბურთი მამინოვს დაუტოვა და მანაც მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგორა.

მასპინძლებს მალე მესამის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ლოსკოვმა ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

ამ გოლის შემდეგ „ლოკომოტივმა“ „მონაკოს“ სივრცეები დაუთმო და კონტრშეტევებზე გადაწყობა სცადა. სტუმრებმა მეორე ტაიმის ნახევარზე მეტი დრო მოსკოველთა წილ მოედანზე გაატარეს და ცდილობდნენ ძირითადად ბურთის საჯარიმოში ჩაგდებით გასულიყვნენ ფონს. საბოლოოდ მონაკოელებმა სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებით იხეირეს. საფრანგეთის ჩემპიონატში ამ მარტივ კომბინაციას ისინი ხშირად ასრულებენ. ჟერომ როტენი შორეულ ძელთან აწვდის, იქ კი ქებული მოთავურე ფერნანდო მორიენტესია ჩასაფრებული. ოვჩინიკოვი გამოსვლისას შეცდა და მატჩში, ფაქტობრივად, პირველი ასპროცენტიანი მომენტით „ელ მორომ“ ისარგებლა.

შეხვედრის შემდეგ იური სიომინმა მალხაზ ასათიანის თამაში დადებითად შეაფასა, ობიორაზე კი თქვა, მიკნავლებული მეტოქის საბოლოოდ მიხრჩობა გვსურდა და იმიტომ შევუშვი, მაგრამ ნალდი საგოლე ვერ გამოიყენაო.

დიდიე დეშანი: „მადლობა ღმერთს, ერთი საპასუხოს გატანა შევძელით და მეორე მატჩისთვის საქმე შედარებით გავიადვილეთ“.

ემანუელ ადებაიორი მწვრთნელს არ ჩამორჩა: „მარატ იზმაილოვი ყველაზე სახიფათო იყო მოედანზე და მადლობა უეფას, რომ იგი შეცვალეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ედუთა ფიესტა სევდიანი ბალაიდოსი

**სელტა** (ვიგო, ესპანეთი) 2:3 **არსენალი** (ლონდონი, ინგლისი)
0:1 ედუ (18), 1:1 ლუის ედუ (27), 1:2 ედუ (48), 2:2 ხოსე იგნასიო (65), 2:3 პირესი (80)
**სელტა:** კავალიერო, ველასკო, ბერიზო, სერხიო, სილვინიო, ანხელი (ვაგნერი 64), ხოსე იგნასიო, მოსტოვოი, ლუქსენი, ლუის ედუ (პინილია 75), მილოშევიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
**არსენალი:** ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, კლიში (სიგანი 90), ლიუნგბერგი (ბენტლი 90), ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, რეიესი (კანუ 78)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სილვინიო (45), ედუ (87), ანრი (88)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი); 21 000 მაყურებელი

რადომირ ანტიჩის „სელტამ“ „ესტადიო ბალაიდოსზე“ ლონდონის „არსენალს“ დიდი ბრძოლა გაუმართა. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების დებიუტანტმა მრისხანე მეტოქის მონდომება კინალამ ქარს გაატანა და რომ არა საფეხბურთო ფორტუნის მცირედი დახმარება, ინგლისელი სტუმრები ვიგოში ოდენ ფრეს დასჯერდებოდნენ.

ანტიჩს მნიშვნელოვანი თამაშის წინ სხვადასხვა სატკივარისა თუ სანქციის გამო ხესული, ხუანფრანი, ჯოვანელა, ილიჩი და გუსტავო ლოპესი გამოაკლდნენ. გამომდინარე აქედან, თითქოს „მეთოფეებს“ ესპანეთში იოლი გასეირნება ელოდათ, მაგრამ მასპინძლებმა საფეხბურთო კანონები პირუკუ დააყენეს. არსენ ვენგერის შეგირდებმა მასპინძლებს გამარჯვება ძლივს გამოსტაცეს. თამაში მომხვეულრთა ლალი იერიშებით დაიწყო. მე-11 წუთზე ხოსე ანტონიო რეიესმა ტიერი ანრისგან პასი მიიღო და კავალიეროს კარში დაჰკრა, თუმც ვერ დაჯაბნა. ალბიონელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ედუ, ვინც ზემოხსენებულმა ფორტუნამ სელტელ მოგვარესთან ერთად ვიგოური შერკინების მთავარ გმირად შეარჩია — მატჩში გატანილ 5 გოლიდან 3 ედუთა ანგარიშზეა. პირველად ინჩასობა „ჰაიბერის“ მკვიდრმა დაამწუხრა. „არსენალის“ საჯარიმოს შემდეგ ბურთთან პირველი აღმოჩნდა და ანგარიში სტუმრებმა გახსნეს — 1:0. იმ ეპიზოდში კავალიერო თანაგუნდელისგან სახეში მუხლის უნებლიე დარტყმითაც დასაჩუქრდა. „სელტას“ ქომაგნი მოედანზე გართხმულ წარბსისხლიან გოლკიპერს ორმაგი სევდით შესცქეროდნენ. მათდა საბედნიეროდ, მეკარე სერიოზულად არ დაშავებულა „სელტამ“ კი ანგარიშის გაქვითვა მალევე შეძლო — სილვინიოს ჯარიმამ მასპინძელ ედუს იღბლიანი თავური აკისრებინა — 1:1.

ალბიონელებთან თანაბარმა ჭიდილმა „სელტას“ მეომრებს ფრთები შეასხა. იგივე ედუ და შემდეგ ანხელ ლოპესი მორიგეობით ცდილობდნენ ლემანის კარის აღებას, მაგრამ გადამწყვეტ ეპიზოდებში სიზუსტე ღალატობდათ. „არსენალის“ პასუხი 45-ე წუთზე ძლიერი და სახიფათო საჯარიმო დარტყმა იყო.


არსენ ვენგერი

შესვენების მერე „სელტამ“ გაილალა — მოსტოვოიმ ანდრეს ფრისკის სასტვენისთანავე ლემანი მძლავრი თავურით შეამოწმა, მაგრამ რახან სამშაბათი „მეთოფეთა“ დღე იყო, ვიგოელთა თავდამსხმელმაც გერმანელ მეკარეს ვერაფერი დააკლო. ათი წუთის შემდეგ კვლავ ედუმ იხეირა, ოღონდ ადგილობრივთა გულის გასახეთქად.

ანტიჩის ხალხს ფარ-ხმალი არ დაუყრია. ველასკოს, ანხელ ლოპესისა და სერხიოს თავგანწირული მცდელობების შემდეგ „ბალაიდოსზე“, ბოლოს და ბოლოს, სხვა გვარის კაცმაც გაიტანა. მწითურმა ვიგოელმა მოსტოვოის პასით აწყენინა ლემანს. თითქოს ყაიმი მერვედფინალის საოცარი პირველი რაუნდის ლოგიკური გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არსენალელთა პირესი და ანრი სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ — ვენგერის ბიჭებმა თავიანთი სიჩაუქე გალისიელ ფანებს და მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს. ჩვეულ სტილში, სხარტი, ლამაზი კომბინაციის შემდეგ მე-80 წუთზე „ესტადიო ბალაიდოსი“ მიჩუმდა — 2:3.

**ლადო ხომერიკი**


არსენალელი ედუს პირველი გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. პირველი მატჩი

# სირცხვილია!

## აჩვენეთ კანს ბრაზილიელები

**ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 1:1**
**რეალი (მადრიდი, ესპანეთი)**
1:0 მაკაი (75), 1:1 რობერტო კარლოსი (83)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ (სალიჰამიჯიჩი 46), ჰარგრივსი, დემიკელისი (იერემისი 90), ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი, პიზარო (სანტა კრუზი 76)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო (სოლარი 90)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: ბალაკი (26), ზიდანი (49), დემიკელისი (60), რონალდო (89), ფიგუ (89)
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
59 000 მაყურებელი


REUTERS მიუნხენიდან



ოლივერ კანს რობერტო კარლოსის ამ დარტყმის მერე თავი არსად გამოეყოფა

ოლივერ კანმა გააკეთა იგივე, რაც რონალდოს და რობერტო კარლოსის წინა ნახვისას — ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა. თუ გახსოვთ, რონალდოსა და რობერტო კარლოსის ბოლო ნახვისას კანისგან გადმოვარდნილ ბურთს რონალდომ მიუჩინა კარში ადგილი, ამჯერად კი საქმე გამარტივდა: რობერტო კარლოსის დარტყმული მეკარემ თვითონ შეაგდო საკუთარ კარში. დავძინოთ, წინა შეხვედრა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში იყო, ახალი კი, რაც ხდება, გასაგებია.

„ჯგუფური ეტაპის დროს ოლივერი საუცხოო ფორმაში იყო და მისი ოსტატობა რომ არა, მერვედფინალში ვერც ვიქნებოდით. მეორე მხრივ, რასაკვირველია, ასეთი შეცდომით გოლის გაშვება მისთვისაც სირცხვილია და მთელი გუნდისთვისაც" — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

ამრიგად, თოვლიანი მიუნხენის გადაწმენდილ საფეხბურთო მოედანზე „ბაიერნმა" „რეალთან" 1:1 ითამაშა. საპასუხო შეხვედრა 10 მარტს მადრიდში გაიმართება და ამ შეხვედრის შესახებ ჰიცფელდი ახლავე ბრძანებს:

„ჩვენ „რეალთან" წინა შეხვედრებიდან ვიცით, რომ ეს დაუმარცხებელი გუნდი სულაც არ არის. ისინი დღესაც დიდი ზეწოლის ქვეშ მოვაქციეთ, არადა, ნუ დაივიწყებთ, რომ ბოლო კვირების განმავლობაში კარგ გუნდს საერთოდ არ ვგავდით. მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ ვითამაშეთ. ხოლო ერთადერთი, რაც ამ მატჩს არ უვარგოდა, შედეგი იყო".

შემდეგ ჰიცფელდმა დასძინა: „ეჭვი არასდროს შემპარვია, რომ დღევანდელივით თამაში შეგვეძლო. ცხადია, იყო მომენტები, როდესაც ცოტათი იღბალმა გაგვიღიმა და იყო აგრეთვე მომენტები, როდესაც გოლის გასატანად მეტი სიმშვიდე გვმართებდა, მაგრამ ყველაფერთან ერთად გამიჩნდა ურყევი რწმენა, რომ ჩვენს წილ შანსს მადრიდშიც მივიღებთ".

შედეგის გარდა, მიუნხენელთათვის, ალბათ, უსიამოვნო იყო ისიც, რომ ფრანგმა მცველმა, ბიქსენტ ლიზარაზუმ ფეხი იტკინა, და როგორც ჩანს, უახლოეს პერიოდში ექიმებთან ექნება სარბენი.

„ბაიერნის" მწვრთნელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არც მიხაელ ბალაკის შექება დაივიწყა. შეგახსენებთ, რომ ბალაკს ბრონქიტი სჭირდა და მთელი ორი კვირა არ უთამაშია, მაგრამ ამის მიუხედავად, ასეთ მნიშვნელოვან მატჩში მთელი დატვირთვა იკისრა.

„გუშინ მიხაელს დიდხანს ვესაუბრე და ვუთხარი, რომ თუ თავად სურს და თავს უსაფრთხოდ გრძნობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვათამაშებდი. როგორც ხედავთ, იგი მატჩისთვის მზად აღმოჩნდა და დღეს გუნდს დიდი სარგებელი მოუტანა".

რაც შეეხება „რეალის" მწვრთნელს, კარლუშ კეიროშს, ბუნებრივია, რომ მან მიუნხენიდან ფრის წაღება კარგ ამბად მიიჩნია, მით უფრო, რომ აქამდე „სამეფო გუნდს" „ოლიმპიაშტადიონზე" შვიდჯერ უთამაშია და შვიდჯერვე წაუგია.

„ვიცი, რომ დღეს სულაც არ ვითამაშეთ ის ფეხბურთი, რომელსაც ჩვენგან ყველა შეეჩვია. როგორც ვისურვებდით, ისე ვერ ვაკონტროლეთ ბურთი, მაგრამ ეს მხოლოდ იმას მეტყველებს, რომ „ბაიერნმა" ითამაშა ძალიან კარგად. მიუნხენელებმა დიდი წნეხის ქვეშ მოგვაქციეს და იყო რამდენიმე მომენტი, როდესაც გაგვიმართლა. მაგრამ მოდით მაინც ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი მასპინძლები იყვნენ, ხოლო „ოლიმპიაშტადიონი" ევროპის ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესი ადგილია. ეჭვი არ მეპარება, რომ საპასუხო შეხვედრაში გაცილებით უკეთ ვითამაშებთ".

„ახლა საპასუხო მატჩზე სრული კონცენტრაცია გვმართებს. ჯერ მხოლოდ ნახევარ გზაზე ვართ და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დღეს ძალიან ძნელი მატჩი ვითამაშეთ. „ბაიერნი" ძალიან კარგად მოქმედებდა. რომ გავათანაბრეთ, მეტად სასიხარულოა" — ასე შეაფასა შეხვედრა დევიდ ბექემმა.

მატჩის გმირი კი უთუოდ „რეალის" მეკარე იკერ კასილიასი გახლდათ. მან რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი გააუვნებლა. კერძოდ, ეს გახლავთ როი მაკაის, კლაუდიო პიზაროს, ოუენ ჰარგრივსის და ზე რობერტოს დარტყმები.

**პაპუნა ძედია**







# შეცდა კანი და...

*ილლიაში ბურთის გაძრომის შემდეგ ოლივერ კანმა იგრძნო... ის, რასაც იგრძნობდით თქვენ, იმ მომენტში „ბაიერნის" მეკარე რომ ყოფილიყავით*

### ოლივერ კანი

„ჩემი გონება დაბნელდა. იმ წამს გაქცევა და იქაურობის მიტოვება მსურდა. ასეთ დარტყმულს ნებისმიერ სხვა დროს ხელ-ფეხის გარეშეც კი იოლად მოვიგერიებდი. ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ შეცდომას აუცილებლად გამოვასწორებ. მადრიდულ მატჩს პირადად მე მოვიგებ."

### რობერტო კარლოსი

„მაშინვე მოვბრუნდი, რადგან მეგონა, რომ კანმა ბურთი მოიხელთა. „ბაიერნის" კარამდე იშვიათად ვაღწევდით, რადგან მასპინძლებმა ამის საშუალება არ მოგვცეს. თუმც იღბალმა არ გაგვწირა. ოლივერზე შეცდომა დამთრგუნველად არ იმოქმედებს. იგი ხომ მრავალნაცადი მეკარეა. ისიც უნდა ვთქვა, რომ საჯარიმოებში ბალახი კი არა, ტალახი იყო და მოძრაობა გვიჭირდა. ციოდა კიდეც, მაგრამ თავს არ ვიმართლებ. ჩემპიონთა ლიგას თუ მოვიგებთ, პირველ რიგში ეს შეხვედრა გამახსენდება, ასეთი მატჩები ჩემპიონებად გვაყალიბებს".

### დევიდ ბექემი

„ჯერ მხოლოდ პირველი სერია დამთავრდა. „ბაიერნი" ძალიან ძლიერი გუნდია და მოხარული ვარ, რომ მადრიდში თავაწეულები ვბრუნდებით. აშკარაა, ჩვენ ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც გვჩვევია. რონალდომდე და რაულამდე ბურთი არ მიდიოდა, მაგრამ მინდორიც არ ჰგავდა ხილიჩას, რაც 2-3 ზუსტი პასის გაკეთებას გვირთულებდა. ძალიან ხშირად მესმოდა, თითქოს „ბაიერნი" კრიზისშიაო. ახლა კი მივხვდი, რომ დიდ გუნდს შევეჯახეთ".

### იკერ კასილიასი

„მატჩს თუ გავიხსენებთ, ეს შედეგი ჩვენთვის კარგია. საპასუხო შეხვედრაში მცირე უპირატესობას, ცხადია, ვფლობთ. განსაკუთრებით ის ფაქტი მახარებს, რომ „ბაიერნი" მადრიდში დაცვაში ვერ ჩაჯდება და იძულებული იქნება შემოგვიტიოს. მიუნხენში მასპინძლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ და მათი გამარჯვება ლოგიკური იქნებოდა. ოლივერ კანის შეცდომა ხელზე დასახვევი არაა, იგივე შეიძლება ყველა მეკარეს დაემართოს".

### ლუიშ ფიგუ

„კანის შეცდომამ ძალიან გაგვახარაო, რომ ვთქვა, მართალი არ ვიქნები, არადა, მისი წყალობით ფრეს მივაღწიეთ. ძალიან ციოდა და დროდადრო ფეხებიც კი მეკვეთებოდა, თუმც იგივე ამინდი იყო მასპინძლებისთვისაც და ყინვა ჩვენს ცუდ თამაშს ვერ გაამართლებს".

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004
## მერვედფინალი. პირველი მატჩი

# სპარტანული

**სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) 0:0 მილანი (იტალია)**

სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა (შივოკი 90), მიხალიკი, ი. გლუშკევიჩი (ბარანეკი 74), სტაინერი (ვ. გლუშკევიჩი 85)

მწვრთნელი: ირჟი კოტრბა

მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (სერჟინიო 85)

*კახა კალაძე სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: გატუზო (78), კაფუ (83)

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი); 20 640 მაყურებელი

უგოლო მატჩში „სპარტას" მეკარე იარომირ ბლაჟეკს ბრაზილიელ კოლეგაზე მეტი საქმე ჰქონდა. მასპინძელი განსაკუთრებით მეორე ტაიმში შეაწუხეს, პირველში კი ორივე კართან მომენტების სიმწირე იყო.

ჯანღონიერმა სპარტელებმა სახელოვან მეტოქეს ტოლი არ დაუდეს და ყოველი გოჯისთვის იბრძოდნენ. მათ თითქმის იმ შემადგენლობით ითამაშეს, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „ლაციოსთან" რომ ჰყავდათ. გუნდში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა — მწვრთნელმა ახალშეძენილი ირჟი სტაინერი მარეკ კინცლს ამჯობინა.

„მილანს" ტრავმირებული იონ დალ ტომასონი და ალესანდრო ნესტა აკლდნენ. კარლო ანჩელოტიმ, როგორც ჩანს, სილვიო ბერლუსკონის რჩევა გაითვალისწინა — გუნდმა ყოველთვის ორი თავდამსხმელით უნდა ითამაშოსო. ამიტომ თერთმეტეულში შევჩენკო-ინძაგის წყვილი გამოჩნდა. ბოლო დროს ბერლუსკონის „მილანის" მთავარ მწვრთნელად მოიხსენებენ, რადგან შემადგენლობის შერჩევაში აქტიურად ერევა და იტალიაში იმასაც ამბობენ, რომ ანჩელოტისგან მხოლოდ პალტო და ჰალსტუხი დარჩაო.

პირველი სახიფათო მომენტის შექმნა კლარენს ზეედორფმა სცადა. შევჩენკოს კარგი პასი მიაწოდა, მაგრამ უკრაინელმა ბურთი ვერ მოარჯულა.

მასპინძლებმა იქვე უპასუხეს, სტაინერის დარტყმული დიდამ კუთხურზე მიაბრძანა.

სპარტელებმა ამ ეპიზოდს კიდევ ორი მიაყოლეს: შეტევაში ჩართულმა მცველმა პაველ პერგლმა კარს ოდნავ ააცილა, შემდეგ კი „მილანის" მეკარემ კარელ პობორსკის აუღო.

სტუმრებიც არ ყოფილან გულხელდაკრეფილი. კაკამ ტაიმის შუაწელში ფილიპო ინძაგი ბლაჟეკს პირისპირ შეატოვა, მაგრამ ჩეხმა ბოლო წამს იყოჩაღა და იტალიელს არ გაატანინა.

ორმხრივი იერიშების შემდეგ მეტოქეები ოდნავ ჩაცხრნენ, თუმც შესვენებამდე წუთებით ადრე კვლავ „მილანი" გააქტიურდა. ზეედორფ-შევჩენკოს წამოწყებული კომბინაციის ხეირიანად დასრულება ინძაგის შეეძლო, მაგრამ „პიპოს" ისევ მეკარემ დაასწრო.

პირველი ტაიმის მიწურულს კაკამ ფილიპო ინძაგის კიდევ ერთი შანსი მისცა, თუმც ფორვარდს ამჯერად მცველმა აჯობა.

თავის მხრივ, ერთი გასროლა ლუკაშ ზელენკამაც მოასწრო და დიდას რეაქცია შეამოწმა. ბრაზილიელმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლები დაწინაურდნენ. პაოლო მალდინისგან მანამდე საგულდაგულოდ ამოკეტილმა იგორ გლუშკევიჩმა გაიტანა, მაგრამ მსაჯმა პრაღელებს სიხარული გაუქარწყლა, თამაშგარე იყოო.

ამის შემდეგ ბურთი „მილანმა" მოიგდო. ანდრეი შევჩენკოს იმდენი კარგი მომენტი ჰქონდა, რომ ბარე ორ შეხვედრას ეყოფოდა. უკრაინელი აშკარად იშტაზე ვერ იყო, რადგან ბურთი ჩარჩოში ვერ შეაგდო, თუმც აქვე იარომირ ბლაჟეკის კარგი გარჯაც უნდა აღვნიშნოთ.

ჩეხებმა მატჩის ბოლოს სცადეს დიდას „გახვრეტა", მაგრამ ბრაზილიელმა ზელენკას დარტყმული ბურთი მოიგერია. შეხვედრის მიწურულს მეტოქეები დაშოშმინდნენ და მეოთხედფინალისტის გარკვევა „სან სიროს" მიანდეს.



ანდრეი შევჩენკო აშკარად ვერ იყო საგოლე იშტაზე

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ძრიუ 0:1 შეფილდ იუნ.**

0:1 მონტგომერი (85)

**მილუოლი 2:1 როტერჰემი**

1:0 ჰარისი (38), 2:0 ჩეპილი (90), 2:1 პროქტორი (903)

**რედინგი 2:2 ბარნლი**

1:0 ოვუსუ (19), 1:1 ი. მური (23), 1:2 მეი (67), 2:2 ჰარპერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 32 | 18 | 9 | 5 | 50:27 | 63 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 17 | 9 | 6 | 46:29 | 60 |
| უიგანი | 32 | 14 | 12 | 6 | 45:32 | 54 |
| შეფილდი | 32 | 15 | 7 | 10 | 47:38 | 52 |
| იფსვიჩი | 32 | 14 | 8 | 10 | 60:52 | 50 |
| მილუოლი | 32 | 13 | 11 | 8 | 38:31 | 50 |
| ვესტ ჰემი | 31 | 12 | 13 | 6 | 44:31 | 49 |
| რედინგი | 32 | 14 | 7 | 11 | 39:42 | 49 |
| სანდერლენდი | 30 | 13 | 9 | 8 | 38:30 | 48 |
| კრ. პალასი | 33 | 13 | 8 | 12 | 52:48 | 47 |
| კარდიფი | 32 | 12 | 10 | 10 | 53:41 | 46 |
| პრესტონი | 31 | 13 | 7 | 11 | 47:39 | 46 |
| სტოკი | 32 | 12 | 8 | 12 | 44:45 | 44 |
| ქოვენთრი | 32 | 10 | 13 | 9 | 41:36 | 43 |
| ქრიუ | 32 | 11 | 7 | 14 | 40:44 | 40 |
| ბარნლი | 32 | 9 | 11 | 12 | 45:52 | 38 |
| როტერჰემი | 32 | 9 | 11 | 12 | 38:45 | 38 |
| უოლსოლი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:43 | 37 |
| უოტფორდი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:44 | 37 |
| ჯილინგემი | 30 | 10 | 6 | 14 | 33:44 | 36 |
| დერბი | 32 | 8 | 10 | 14 | 35:52 | 34 |
| ნოტინგემი | 31 | 7 | 10 | 14 | 38:42 | 31 |
| ბრედფორდი | 33 | 7 | 5 | 21 | 26:49 | 26 |
| უიმბლდონი | 31 | 5 | 3 | 23 | 28:61 | 18 |

### ასოციაციის თასი
### 1/8 ფინალი. გადათამაშება

**ვესტ ჰემი 0:3 *ფულემი***

0:1 მაკბრაიდი (76), 0:2 ჰეილსი (79), 0:3 ბოა მორტე (90)

### 1/4 ფინალის წილისყრა

6 მარტი: პორტსმუთი — არსენალი; მანჩესტერ იუნაიტედი — ფულემი

7 მარტი: მილუოლი — ტრანმერი; სანდერლენდი ან ბირმინგემი — შეფილდ იუნაიტედი

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**მოზერუელი 1:0 აბერდინი**

1:0 კ. რაიტი (84)

**ლივინგსტონი 2:3 ჰარტსი**

1:0 მაკელი (5), 1:1 დე ვრიზი (25), 1:2 კირკი (47), 2:2 მაკმენამინი (56), 2:3 მაკკენა (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 25 | 24 | 1 | 0 | 81:12 | 73 |
| რეინჯერსი | 25 | 19 | 3 | 3 | 52:19 | 60 |
| ჰარტსი | 25 | 14 | 4 | 7 | 38:28 | 46 |
| დანფერმლაინი | 25 | 10 | 7 | 8 | 29:35 | 37 |
| მოზერუელი | 24 | 9 | 6 | 9 | 27:27 | 33 |
| დანდი | 25 | 7 | 7 | 11 | 30:36 | 28 |
| ჰიბერნიანი | 25 | 7 | 7 | 11 | 24:39 | 28 |
| დანდი იუნ. | 25 | 7 | 6 | 12 | 25:41 | 27 |
| ლივინგსტონი | 24 | 6 | 8 | 10 | 26:32 | 26 |
| კილმარნოკი | 25 | 7 | 3 | 15 | 28:53 | 24 |
| აბერდინი | 25 | 6 | 5 | 14 | 29:43 | 23 |
| პარტიკი | 25 | 3 | 3 | 19 | 27:51 | 12 |

### ასოციაციის თასი
### 1/8 ფინალი
### გადათამაშება

**კლაიდი 0:3 *დანფერმლაინი***

0:1, 0:2 ნიკოლსონი (193, 38), 0:3 ბულენი (41)

### 1/4 ფინალის წილისყრა

6 მარტი: აბერდინი — ლივინგსტონი; მოზერუელი — ინვერნესი; პარტიკი — დანფერმლაინი

7 მარტი: სელტიკი — გლაზგო რეინჯერსი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## Copa Toyota Libertadores '2004

### III ჯგუფი. III ტური

**უნივერსიდად დე კონსეპსიონი (ჩილე) 2:3 კარაკასი (ვენესუელა)**

0:1, 0:2 კომინგესი (34, 37), 0:3 ხ. როხასი (50), 1:3 მ. კასერესი (76), 2:3 კ. გომესი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო (ბრაზილია) | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| სანტოს ლაგუნა (მექსიკა) | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კარაკასი (ვენესუელა) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| უნივერსიდად დე კონსეპსიონი (ჩილე) | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |

### V ჯგუფი. II ტური

**ნასიონალი (ურუგვაი) 0:0 ინდეპენდიენტე (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე (არგენტინა) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ელ ნასიონალი (ეკვადორი) | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სიენსიანო (პერუ) | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

### VI ჯგუფი. II ტური

**დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია) 1:1 დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა)**

1:0 ველასკესი (14), 1:1 პანიგუტი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია) | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ლიბერტადი (პარაგვაი) | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |

# რა შხარია ვან ნისტელროის?

**ჰოლანდიელი** რუუდ ვან ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში შევიდა — აი, ასე! არც მეტი, არც ნაკლები. ვან ნისტელროიმ დენის ლოუს შედეგი გაიმეორა და ახლა ევროშეჯიბრებებში ყველაზე მეტი გოლი სწორედ ამ ორ მანჩესტერელს უწერია გვარის გასწვრივ სტატისტიკოსთა დავთრებში. არადა, დაგვეთანხმებით, ამხელა კლუბის რეკორდისთვის ჰოლანდიელი არც ისე დიდი ხანია, რაც „ოლდ ტრეფორდზე" თამაშობს. ეტყობა, ყველაფერი მისი ერთი საგანგებო თვისების ბრალია: ვან ნისტელროის შეუძლია გოლები ერთიმეორის მიყოლებით გაიტანოს და სულერთია, ყოველი მომდევნო მატჩი მცირე შეჯიბრებისაა თუ დიდის, მეტოქე მეორეხარისხოვანი გუნდია თუ პირველხარისხოვანი.



და კიდევ, უეფას ვებ-გვერდის მკითხველებმა 2003 წლის სიმბოლურ გუნდში სხვა ვარსკვლავების მხარდამხარ რუუდ ვან ნისტელროიც დაასახელეს.

„დიდებული გუნდი დაუსახელებიათ — ესიამოვნა თავდამსხმელს — ძალიან სასიხარულოა ამდენმა გულშემატკივარმა რომ მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპაში უამრავ ადამიანს უყვარს ფეხბურთი და ძალიან სასიამოვნოა იმის შეგრძნებაც, რომ მრავალი ადამიანი შენს შრომას აფასებს."

აშკარაა, რომ დღეს რუუდ ვან ნისტელროის მოსწონს თავისი თამაში.

„ფეხბურთი სიხარულის ღიმილს მგვრის და ასეთ ღიმილს გვრის ყველას, ვინაიდან ის ფანტასტიკური თამაშია. როდესაც მოედანზე გადიხარ, თერთმეტნი თერთმეტის წინააღმდეგ რჩებით, აი, სად იქმნება დიადი გარემო. ასეთმა გარემომ სიამოვნება არ მოგანიჭოს, ძნელი წარმოსადგენია."

ვან ნისტელროი 27 წლისაა. იგი „მანჩესტერ იუნაიტედში" ჰოლანდიური „ეინდჰოვენიდან" 2001 წელს გადავიდა. მასთან ერთად უეფას მკითხველთა სასურველ ნაკრებში „არსენალის" ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრიც მოხვდა.

„ანრი დიდი ფეხბურთელია — თქვა ვან ნისტელროიმ — ვფიქრობ ძალიან კარგად შევეწყობოდით ერთმანეთს. მას თავდამსხმელისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს და ინგლისის ჩემპიონატის ყოველ ტურსა თუ საფრანგეთის ნაკრებში ნათამაშევ ყოველ მატჩში ამტკიცებს თავის ოსტატობას."

საინტერესოა, რომ უეფას საინტერნეტო ნაკრებში ვან ნისტელროიმდე „მანჩესტერ იუნაიტედიდან", 2001 წელს დევიდ ბექჰემიც იყო შეყვანილი. და ამჯერად ბექჰემი იმავე სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა უკვე როგორც „რეალის" ფეხბურთელი.

„მე თუ მკითხავთ, როგორც ფეხბურთელი და როგორც ადამიანი, ის მანჩესტერში ძალიან მოენატრათ. იმავდროულად, რასაც ვუყურებ, ვხედავ, რომ ესპანეთში დიდებულად თამაშობს, თან გაითვალისწინეთ, რომ მას მადრიდში ენობრივი ბარიერა აქვს და ყველაფრის მიუხედავად გამორჩეულია" — ამბობს „იუნაიტედის" თავდამსხმელი, რომელიც წუხელ, პორტუში, სიმბოლურ თანაგუნდელების, მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს და პაულუ ფერეირას დაუპირისპირდა.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საწყისი ფასი 20 ათასი
## ილიემ ვალენსია თურქებს მიჰყიდა

**უეფას თასი**
UEFA CUP 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს UEFA CUP

| | |
|---|---|
| **სპარტაკი** (მოსკოვი, რუსეთი) | **მალიორკა** (ესპანეთი) |
| **ვოლერენგა** (ნორვეგია) | **ნიუკასლ იუნაიტედი** (ინგლისი) |
| **ვროცლავი** (პოლონეთი) | **ბორდო** (საფრანგეთი) |
| **მარსელი** (საფრანგეთი) | **დნიპრო** (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა) |
| **გაზიანთეფსფორი** (თურქეთი) | **რომა** (რომი, იტალია) |
| **პარმა** (იტალია) | **გენჩლერბირლიგი** (თურქეთი) |
| **პერუჯა** (იტალია) | **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) |
| **სელტიკი** (გლაზგო, შოტლანდია) | **ტეპლიცე** (ჩეხეთი) |
| **ოსერი** (საფრანგეთი) | **პანათინაიკოსი** (ათენი, საბერძნეთი) |
| **ლივერპული** (ინგლისი) | **ლევსკი** (სოფია, ბულგარეთი) |
| **გალათასარაი** (სტამბოლი, თურქეთი) | **ვილიარეალი** (ესპანეთი) |
| **ბრიუგე** (ბელგია) | **დებრეცენი** (უნგრეთი) |
| **ბრონდბიუ** (კოპენჰაგენი, დანია) | **ბარსელონა** (ესპანეთი) |
| **სოშო** (საფრანგეთი) | **ინტერი** (მილანი, იტალია) |
| **ბენფიკა** (ლისაბონი, პორტუგალია) | **რუსენბორგი** (ტრონჰეიმი, ნორვეგია) |
| **ვალენსია** (ესპანეთი) | **ბეშიქთაში** (სტამბოლი, თურქეთი) |

ნევიო სკალაზე, „სპარტაკის" მეკარეების იტალიელ მწვრთნელსა და თავად გიორგი ლომაიაზეა დამოკიდებული, შედგება თუ არა დღეს ქართველის დებიუტი მოსკოვურ გუნდში.

„სპარტაკის" პრეზიდენტ ანდრეი ჩერვიჩენკოს ამბიცია არ აკლია. ბოლო წლებში „ლოკომოტივისა" და ცსკა-სგან დაჩრდილულ „სახალხო გუნდს" ძველი დიდების დაბრუნება სურს. ჩერვიჩენკომ ნევიო სკალას დრო მისცა და ფულსაც არ ზოგავს. სამი დღის წინ კლუბმა ორი ლეგიონერი კიდევ დაიმატა — რუმინელი მცველი ადრიან იენჩი, რომელმაც ნაკრებს კვიპროსის ტურნირზე ორჯერ უკაპიტნა და ურუგვაელი ნახევარმცველი მარსელო სოსა.

„სპარტაკის" იტალიელ თავკაცს პირველი გამოცდა „მალიორკასთან" ელის. ესპანური გუნდი პრიმერადივიზიონის მაჩანჩალებშია გარეული. კუნძულელებმა პიკს ნოემბერ-დეკემბერში მიაღწიეს, როცა ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგეს.

მეორე წრის დასაწყისიდან „მალიორკამ" დაამუხრუჭა და, ფაქტობრივად, ლიგაში დასარჩენად იბრძვის. პარალელურად უეფას თასზე წინსვლაც სურს, მაგრამ ლუის არაგონესს ასეთი გუნდით გაუჭირდება. მოსკოვში კუნძულელებს სამუელ ეტოო ახლავთ, მიგელ ანხელ ნადალი კი შინ დარჩენილა. მზიანი მალიორკის „შვილებს" მოსკოვში ზამთარი დახვდებათ, „სპარტაკი" კი ეცდება „ლოკომოტივს" არ ჩამორჩეს.

მიქაელ ლაუდრუპის „ბრონდბიუ" „ბარსელონას" უმასპინძლებს. კარიერის საუკეთესო წლები ვიკინგმა კატალონიაში გაატარა. დანიის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, ესპანეთში კი „ბარსელონა" ისე გახურდა, რომ მიჯრით ხუთი მატჩი მოიგო.

„ბროდბიუს" შეკრებისას სამი ფეხბურთელი დაუშავდა. ფორვარდებს — რუბენ ბაგერს და კასპერ დაგლასს ლაზარეთში პეტერ ფოლდგასტიც მიჰყვა და მასპინძლები ერთი თავდამსხმელის, კარსტენ იოჰანსენის ამარა დარჩნენ.

მიქაელ ლაუდრუპი ვითარებას და ძალების თანაფარდობას რეალურად აფასებს: „ესპანური საკლუბო ფეხბურთის დონე დანიურზე გაცილებით მაღალია და ეს სხვაობა აუცილებლად გამოჩნდება, თუმც წინასწარ დანებებას არ ვაპირებთ".

„ბარსელონას" ტრავმირებული მცველი რაფაელ მარკესი არ ეყოლება, ედგარ დავიდსი კი იმიტომ ვერ ითამაშებს, რომ „იუვენტუსში" ჩემპიონთა ლიგა უკვე დააჭაშნიკა და თამაშის უფლება არ აქვს.

„მესტალიაზე" ძველ ნაცნობ ადრიან ილიეს ნახავენ. ილიე „ბეშიქთაშის" მეგოლე გახდა და შავთეთრ მაისურაში გამოწყობილი ეწვევა ვალენსიას. რუმინელმა ფორვარდმა ყოფილი გუნდის ავან-ჩავანი თვისტომ მირჩა ლეჩესკუს ჩაუკაკლა, მაგრამ ისიც უთხრა, ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს და დიდი ომი გველისო. „ბეშიქთაშის" პრეზიდენტი ფეხბურთელებს 20-20 ათას დოლარს დაჰპირდა თუ მერვედფინალში გააღწევენ.

თურქეთის დედაქალაქის გუნდი „გენჩლერბირლიგი" პარმაში იქაურებთან სათამაშოდ გუშინწინ გაემგზავრა. უამინდობის გამო თვითმფრინავი ბოლონიაში დაეშვა და „გენჩლერმა" პარმამდე ავტობუსით იარა. ქალაქში ჩასულ ოსმალებს ვარჯიშის უფლება არ მისცეს, „ენიო ტარდინის" გაზონი დაზიანდება, თოვლ-ჭყაპისგან ისედაც გაფუჭებულიაო.

„გაზიანთეფსფორი" წინა კვირას ჩემპიონატის მატჩში „ფენერბაჰჩესთან" 1:5 შერცხვა. ფაბიო კაპელოს ამ შეხვედრის სანახავად მზვერავები გაუგზავნია. იტალიელმა მსტოვრებმა მწვრთნელს ამბავი ჩაუტანეს და კაპელოსაც სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით გადაუწყვეტია: ფრანჩესკო ტოტი და ანტონიო კასანო რომში დარჩებიან, მათ დასვენება სჭირდებათ და „გაზიანთეფისთვის" ვერ მოვაცდენო.



„ბარსელონას" დანიაში რაფაელ მარკესი ვერ გაჰყვა

თავის მხრივ, ოსმალებს „რომას" მთავარბიჭების გამოკლება, ცხადია, ძალიან გაუხარდათ, რადგან „სიენას" კარში გატანილი ექვსი გოლიდან ოთხი კასანო-ტოტის ანგარიშზეა.

სერია A-ში პირველი გამარჯვების შემდეგ „პერუჯა" ძალას პსვ-სთან მოსინჯავს. ჰოლანდიელებს ჯილა არიენ რობენი ტრავმის გამო დააკლდებათ, გუს ჰიდინკს კი ზღაპრების არ სჯერა და არაფრად მიაჩნია ის ფაქტი, რომ „პერუჯა" ამ სეზონში სუსტად გამოიყურება. „იტალიაში ყველაფერი სხვაგვარადაა. შესაძლოა, გუნდი ბოლო ადგილზე იყოს, მაგრამ მისი დამარცხება არც ისე იოლია" — თქვა ჰიდინკმა.

„სელტიკმა" გასულ უქმეებზე შოტლანდიის ახალი რეკორდი დაამყარა — ზედიზედ 24 სალიგო მატჩი მოიგო, დღეს კი რეკორდზე დესერტად „ტეპლიცეს" მიყოლებას აპირებს. ჩეხურმა გუნდმა გზიდან „ფეიენოორდი" და „კაიზერსლაუტერნი" უკვე ჩამოიშორა. გლაზგოელებს ნილ ლენონი არ ეყოლებათ, რომელსაც უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდა.

„სოშოს" „ინტერი" ესტუმრება. „შავ-ლურჯები" იტალიის თასიდანაც გავარდნენ, სკუდეტოზე ხომ აღარც ოცნებობენ, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაც გაუჭირდებათ და მხოლოდ უეფას თასიღა შერჩათ. მილანელებს საფრანგეთში მარკო მატერაცის გარეშე მოუწევთ თამაში, რადგან მცველს უმსგავსო საქციელისთვის დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

„ვილიარეალს" სტამბოლში დროებითი მწვრთნელი ჩაუძღვება. ბენიტო ფლორომ გუნდი „სარაგოსასთან" მარცხის შემდეგ დატოვა და საქმე თანაშემწეს გადააბარა.

„გალათასარაის" მთავარი პრობლემა ჰაქან შუქურის ტრავმაა, თავდასხმელებს მატჩის წინ ეტყვიან, შეძლებს თუ არა თამაშს.

**ვაჟა ხუციშვილი**



მოსკოვის „სპარტაკი" რუმინელი ადრიან იენჩით გაძლიერდა



გუს ჰიდინკს „პერუჯაზე" არ ეცინება



„სელტიკის" ნილ ლენონი სასჯელს იხდის



# მე აქ ვიქნები!
## ჟერარ ულიე კრიტიკაზე იცინის და ლივერპულში რჩება

**„ლივერპული"** შავ დღეშია, ორი დღის წინათ ასოციაციის თასიდანაც გააგდო „პორტსმუთმა", პრემიერლიგაში კი საბრძოლველი ერთადერთი დარჩა: ეგებ როგორმე მოიპოვოს ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზური. ძნელი ამოცანაა, მთავარ დამნაშავედ კი კლუბის მენეჯერ ჟერარ ულიეს სახავენ.

„პორტსმუთთან" მარცხის შემდეგ, უკვე მესამედ ამ სეზონში, მედია ულიეს გადაყენებაზე ალაპარაკდა. „ლივერპული" ის იშვიათი გუნდია ინგლისში, რომელიც თავის საქმეებს უხმაუროდ და ღირსეულად აგვარებს ხოლმე და სკანდალს ამჯერადაც ვერ ვიხილავთ. თუმცა, თავად ულიე ამბობს, რომ კვლავაც მერსისაიდელ გოლიათთა მენეჯერი იქნება.

„არსად არ წავალ. ვფიქრობ, გაისადაც აქ ვიქნები. დასახულ მიზნებს მივაღწევთ, ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ. კლუბის საბჭო და უფროსობა ყველაფერს ეთანხმება. ორი მიზეზი მაინც არსებობს იმისა, რომ გაისადაც აქ ვიქნები" — ამბობს ფრანგი მენეჯერი.

ამ ორი მიზეზიდან ერთი ნამდვილად ისაა, რომ კლუბი თანახმაა, მთელი 17 მილიონი გირვანქა გადაიხადოს ულიეს ახალ იმედში, ოსერელ ჯიბრილ სისეში, რომელიც ზაფხულში მივა „ენფილდზე".

„პორტსმუთში მომხდარით იმედი გაგვიცრუვდა, მაგრამ გული არ გაგვტეხია. წლეულს მაიკლ ოუენი დაგვეტანჯა, სამი თვე გაუცდა ექვსიდან, ეს მის თამაშსაც დაეტყო. ახლა უეფას თასის მატჩი გვაქვს „ლევსკისთან" და არ დაგიმალავთ, ამ თასის ალება გვინდა. საერთოდ, მე აქ ჟერარ ულიესთვის არა ვარ, მე „ლივერპულისთვის" ვარ და ეს განცდა ყველაზე მაღლა დგას. გუნდი უკეთესი და უკეთესი იქნება. ეს არის, რომ კრიტიკას უნდა გაუძლო და ვუძლებ იმიტომ, რომ ამას იუმორით ვუყურებ. სეზონი ტრავმებმა ჩაგვიგდო. ეს მიზეზის ძებნა კი არ არის, ფაქტია. ოუენი, დიტმარ ჰამანი, მილან ბაროში, ჯემი კარაგერი, სტივ ჯერარდი, ჰარი კიუელიც კი. თვეების განმავლობაში სულ რამდენჯერმე შევკრიბეთ სასურველი შემადგენლობა.

ნიჭის ნამდვილი საზომი აღდგომის უნარია და ჩვენ ამას დავამტკიცებთ".

მოკლედ, ულიე რჩება, თუმც კი გაზეთებში უკვე გაისმის, ფრანგი მიდის, სემ ალარდაისი კი მოდისო. ბოლტონელთა წარმატებული მენეჯერი უარობს, არაფერი ვიციო.

„ლივერპულს" კი ორი სამიზნე დარჩენია ამ სეზონში: უეფას თასი და მეოთხე ადგილი პრემიერლიგაში.

**ირაკლი გამყრელიძე**



პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი

საქართველოს პროფესიონალური ფეხბურთის ლიგა

*საქართველოს საფეხბურთო პროფესიულმა ლიგამ გუშინ უმაღლესი ლიგის გუნდები შეკრიბა და ყრილობა გამართა.*

*ყრილობის მერე იქვე, ფეხბურთის ფედერაციაში პროფლიგის გენერალური მდივანი რევაზ ლორთქიფანიძე, ოპერატიული სადისციპლინო კომიტეტის უფროსი ზვიად დარასელი და პრესატაშე პაატა ბურჯალიანი ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ*

# 4000 ლარი

## ჯავშანჟილეტი მსაჯებისთვის

**ამიერიდან** უმაღლესი ლიგის ნებისმიერი მატჩის შემდეგ ფეხბურთელი ვალდებულია, ერთი წუთი მაინც შეყოვნდეს ჟურნალისტებთან შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის 100 ლარით დაჯარიმდება. კლუბი კი იძულებულია, ნებისმიერი მატჩის წინ პრესკონფერენცია მოაწყოს, თუ ასეთი სურვილი მასმედიას ექნება.

გუშინდელი ყრილობის შემდეგ გადაწყდა, რომ უმაღლესი ლიგის ფარმ-კლუბს, რომელიც პირველ ლიგაშია, შეუძლია, ამ უმაღლესი ლიგის გუნდიდან ერთი მეკარე და ერთიც წინ მოთამაშე დაიმატოს.

პროფლიგის გენმდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ გვითხრა, რომ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი ორად უნდა გაიყოს — არ შეიძლება, რომ მაკონტროლებელი და შემსრულებელი სტრუქტურა ერთ კომიტეტში იყოს — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

აქვე დავძენთ, რომ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი ჯერჯერობით ფეხბურთის ფედერაციის სტრუქტურაშია, მაგრამ მომდევნო სეზონიდან ის ორად გაიყოფა და პროფლიგას დაექვემდებარება. ამ საკითხებთან დაკავშირებით პროფლიგამ ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა ფედერაციას.

უკვე შეიქმნა საგანგებო კომიტეტი, რომელიც ოპერატიულად გამოუტანს ვერდიქტებს უდისციპლინოებს. ჰოდა, პროფლიგამ შესაბამის კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რასაც უმაღლესი ლიგის გუნდებიც დათანხმდნენ.

„კოდექსი გამკაცრდა და მასში ყველაფერი გამჭვირვალე, დაკონკრეტებული გახდა“ — გვითხრა ლორთქიფანიძემ, ხოლო ვერდიქტების გამომტანი კომიტეტის ხელმძღვანელმა ზვიად დარასელმა რამდენიმე საჯარიმო ტარიფიც მოგვახსენა — თუ კლუბის წარმომადგენელი მსაჯების ოთახში შევა, მათზე ზეწოლას მოახდენს, კლუბი 400 ლარით დაჯარიმდება, ხოლო ასეთი დანაშაულის გამეორების შემთხვევაში ჯარიმა გაორმაგდება. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ჯარიმა 500 ლარს ითვალისწინებს, განმეორების შემთხვევაში კი ორმაგს. რაც შეეხება მსაჯის ან პროფლიგის რომელიმე თანამშრომლის ფიზიკურ შეურაცხყოფას, მისთვის სასჯელი 4000 ლარი იქნება.

თუ მატჩის ინსპექტორი ან დირექტორი ექსცესებს მიჩქმალავს, დამცავი მექანიზმი ასეთია — მატჩებზე პროფლიგიდან საგანგებო დამკვირვებლები გაიგზავნებიან.

რაც შეეხება უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის ათამდე შემცირებას, ეს საკითხი პროფლიგის მომდევნო ყრილობაზე განიხილება, რომელიც სეზონის დამთავრების შემდეგ გაიმართება.

გახდება თუ არა თბილისის „დინამო“ პროფლიგის წევრი? ლორთქიფანიძემ გვამცნო, რომ პროფლიგამ „დინამოს“ შენიშვნების ძირითადი ნაწილი გაითვალისწინა და წესდებაში შესაბამისი ცვლილებებიც შეიტანა. „ახლა „დინამოს“ გადასაწყვეტია, გახდება თუ არა პროფლიგის წევრი“ — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

**დავით თავართქილაძე**



პროფლიგის გენმდივანი რევაზ ლორთქიფანიძე



*— თქვენ უკვე დაწერეთ განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე? ვკითხეთ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას, რომელიც ერთი კვირით შვეიცარიაში იმყოფებოდა. ფიფა-უეფას ხელმძღვანელებთან ფინანსური დახმარების საკითხები განიხილა, შესარჩევი ჯგუფის კალენდრის შედგენას დაესწრო, საჩვენებლად ნაკრების ეკიპირების ერთი კომპლექტი წამოიღო და გუშინ გამთენიისას დაბრუნდა...*

# ნურც იფიქრებთ!

## ვიცე-პოლკოვნიკ ჩოლარიას წასვლა არ უნდა

— განცხადება უკვე დაწერილი მაქვს. თუმც ხელი არ მომიწერია. ჯერ მერაბ ჟორდანიას დავუკავშირდები, გავარკვევ, რა ხდება, რატომ გადადგა პრეზიდენტმა ეს ნაბიჯი და კომენტარს მერე გავაკეთებ. იქამდე კი, ვიდრე მერაბ ჟორდანიას არ დაველაპარაკები, ჩემს განცხადებას ხელს არ მოვაწერ — ამის გარანტიას ვიძლევი. რაკი პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, ესე იგი, რაღაც ხდება.

— რა ხდება? თქვენ რას ფიქრობთ, რატომ გადადგა პრეზიდენტმა ეს ნაბიჯი?

— ალბათ, კადრების შემცირების მიზნით. ჩვენ დიდი ხანია ვლაპარაკობთ., რომ ფეხბურთის ფედერაციას ამდენი თანამშრომელი არ სჭირდება. აგერ, შვეიცარიიდან დაბრუნებულს უელსელი კოლეგების წერილი დამხვდა. მათ რჩევისთვის ყველა ევროპულ ფედერაციას მიმართეს და აინტერესებთ სამსახურში თანამშრომელთა რაოდენობა, სტრუქტურა. ისე კი, რომ იცოდეთ, როგორც პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, უკვე პენსიაზე ვარ და მივიღებ არა 14 ლარს, არამედ 110 ლარს. არასდროს დამიმალავს, რომ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ვიყავი, თუმც ამ სტრუქტურიდან უკვე თავისუფალი ვარ და მთელი ჩემი ენერგია შემიძლია ქართულ ფეხბურთს მოვახმარო. ჯერჯერობით აქ ვარ და არავინ იფიქროს, ჩოლარია ფედერაციის შუა გზაზე მიტოვებას აპირებსო. დღესდღეობით ამ საკითხზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

ვალერი ჩოლარიამ პრესკონფერენცია ფიფაში შედგენილი შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე საუბრით დაიწყო, მოჰყვა საპროცედურო საკითხებზე და მეტოქეთა შესახებ, თუმც ამ ყველაფერზე გუშინწინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით. ვალერი ჩოლარიას ნაკრების ახალი მწვრთნელის თაობაზე ბევრი არაფერი უთქვამს, ეს საქმე მერაბ ჟორდანიამ დაიწყო და დაამთავრებს კიდეცო.

გენერალურმა მდივანმა პრესკონფერენციისას „პუმას“ ის ეკიპირებაც გამოფინა, რითაც საქართველოს ნაკრები უახლოეს სამ წელს ითამაშებს. ჩოლარიამ აღნიშნა, რომ „პუმამ“ თავისი ნაწარმი ეროვნული გუნდისთვის უფასოდ, ასაკობრივი ნაკრებებისთვის კი 80-პროცენტიანი ფასდაკლებით გადმოგვცაო. სპეციალისტის თვალი სხვა კია, მაგრამ, ჩვენი აზრით, „პუმას“ ფორმები მოსაწონია. სათამაშო მაისურები ძირითადად თეთრ-წითელი იქნება, სათადარიგო კი შავ-შინდისფერი.

**ქობა ინასარიძე**







# მზად ვარ შრომისა და სელტიკისთვის

**რეინჯერსელმა** ზურაბ ხიზანიშვილმა ბოლო სამი მატჩი იმიტომ გამოტოვა, რომ ზურგის კუნთი აწუხებდა. ხიზანიშვილმა ეს კუნთი რამდენიმე თვის წინ დაიზიანა ვარჯიშზე, მაგრამ არ დაისვენა, ვარჯიშ-თამაშს განაგრძობდა და ტრავმაც გაურთულდა.

გუშინ კი ხიზანიშვილმა გვითხრა, რომ უკვე სრულად გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. მოკლედ, „რეინჯერსის“ მორიგი მატჩისთვის ხიზანიშვილი სათამაშოდ მზად იქნება.

გლაზგოს პროტესტანტული გუნდისთვის ჩვენებური მცველის გამოჯანმრთელება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ 7 მარტს „ოლდ ფირმია“ — ასოციაციის თასზე „რეინჯერსი“ „სელტიკს“ ეძგერება. რეინჯერსელებისთვის ეს ბოლო შანსია, ამ სეზონში უტიტულოდ რომ არ დარჩნენ.

**დავით თავართქილაძე**

# ტრავმიანი გოლი

**შეკრებაზე** მყოფმა დონეცკის „მეტალურგმა“ ჰოლანდიიდან ბელგიაში გადაინაცვლა და იქაურ „ბევერენს“ ამხანაგურად გაეჯიბრა. მატჩს 1500 მაყურებელი დაესწრო და „ბევერენიდან“ „მეტალურგში“ ახლახან გადასული იაია ტურეს ბენეფისად იქცა, თუმც კოტდივუარელს არც გიორგი დემეტრაძე ჩამორჩა, რომელმაც მე-3 წუთზევე დაამწუხრა მასპინძლები. მცველების ალყაში მოქცეულმა დემეტრაძემ ნეზირის დაბალ პასს ზუსტი მიმართულება მოუძებნა და ანგარიში გახსნა. ეს გოლი გიორგისთვის ზედიზედ მესამეა ბოლო სამ მატჩში.

სამწუხარო ისაა, რომ ქართველი თავდამსხმელი ნაწვიმარ მოედანზე დაშავდა და 38-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. დონეცკელთა თქმით, დემეტრაძის ტრავმა სერიოზული არ არის და ის მალე განაახლებს ვარჯიშს.

ძირითად შემადგენლობაში ითამაშა „მეტალურგის“ კაპიტანმა გოჩა ჯამარაულმაც, რომელიც მწვრთნელმა 66-ე წუთზე შეცვალა. მატჩი კი უკრაინელებმა 2:1 მოიგეს.

**ბახა შალამბერიძე**

# ნაკანი ბაქანზე დარჩა

**გუშინ** მოსკოვის „ტორპედო“ უნგრეთში გაემგზავრა. შეკრებაზე წასულ 20 ფეხბურთელს შორის არ არის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი დავით ნაკანი, რომელიც აქამდე ორივე შეკრებაზე ახლდა გუნდს. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ნაკანი ისევ სარეზერვო შემადგენლობას შეუერთდება.

არადა, მოსამზადებელი ეტაპის წინ ნაკანს თითქოს კარგი შანსი ჰქონდა, „ტორპედოს“ ძირითადში დამკვიდრებულიყო, რამდენიმე ამხანაგურ მატჩში გოლებიც გაიტანა, თუმც, როგორც ჩანს, მწვრთნელს თავი მაინც ვერ მოაწონა.

**დავით თავართქილაძე**

# კიევური დინამო ჩვენსას იაშვილს სთხოვს

## ყველაფერს თავდახრილი დავამტკიცებ

*ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან? ერთი ძველი რუბრიკა იყო ასეთი და თუ მას დღევანდელობას მოვარგებთ, თბილისის „დინამოს“ 19 წლის ფორვარდ სანდრო იაშვილზეც უნდა ვთქვათ. კვიპროსის ტურნირზე იაშვილს დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში და მასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ*



— როგორ შეაფასებდი შენს დებიუტს ეროვნულ ნაკრებში?

— ნაკრებში მიწვევით ბედნიერი ვიყავი, ძალიან გამიხარდა, მაგრამ ჩვენ, დინამოელები ხომ შეკრებას გავდიოდით და ამის გამო თამაშმა დაღლილს მომიწია — მინდოდა, უკეთესად მეთამაშა ნაკრებში. მოკლედ, საკუთარი თავით ძალიან უკმაყოფილო დავრჩი, რადგან მაქსიმალისტი ვარ.

— გასაგებია, მაგრამ ნაკრების დროებით მწვრთნელს შენი თამაში ერთობ მოეწონა, განსაკუთრებით რუმინეთთან...

— ყველას თავისი აზრი აქვს. მე იმ ტურნირზე გოლი არ გამიტანია და გოლს რომ ვერ შევაგდებ, რაიმეზე ლაპარაკი უკვე დამთავრებულია.

ისიცაა, რომ მთლიანად ნაკრებმა ვერ ითამაშა კარგად, შეთამაშებულები არ ვიყავით.

— კვიპროსამდე იყო თანამეგობრობის ტურნირი მოსკოვში, სადაც პირველ ორ მატჩში ორი გოლი გაიტანე, მერე კი ივო შუშაკმა სასჯელი გამოგიწერა. რა მოხდა, რატომ დაგსაჯა შუშაკმა?

— ტელეფონზე ვლაპარაკობდი და სადილზე ხუთი წუთი დავაგვიანე, რის გამოც მწვრთნელებს ბოდიში მოვუხადე. მეორე დღეს კი შუშაკმა დამიბარა და თბილისში გამომიშვა.

— ამან შენზე დამთრგუნველად იმოქმედა?

— ჩემ ადგილზე უმეტესობა, ალბათ, ნაწყენი დარჩებოდა მწვრთნელზე და საქმეს კარგად ვერ დაუდებდა გულს, მაგრამ მე პირიქით — ყველას დავუმტკიცებ, რაც ვარ — უდისციპლინო არ ვარ და თავდახრილად ვშრომობ. ცხოვრებაში ეს ჩემი პირველი დაგვიანება იყო.

— როგორც შევიტყვეთ, შენი გადაბირებით კიევის „დინამოა“ დაინტერესებული — შენამდეც მოვიდა ასეთი ხმები?

— ხმები კი არა, ისეთი სიტუაციაა, რომ კიევის „დინამოს“ მართლა უნდა ჩემი აყვანა, რითაც კიდევ სამიოთხი გუნდია დაინტერესებული.

— შენ თვითონ რა გინდა, რას აპირებ?

— გადავხედავ, რა როგორ აჯობებს. ყველაფერი მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული, აგენტი კი ჯერ არ მყავს, მაგრამ მეყოლება.

— შენზე დღეს უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე 2-3 თვის წინ — თუ გრძნობ ამას და როგორ ფიქრობ, ეს ცოტა ხელს ხომ არ გიშლის?

— არანაირად, ეს ჩემთვის პრობლემა არ არის. ასეთი რამ ჩემზე ცუდად რომ მოქმედებდეს, იმასაც ვერ მივაღწევდი, რაც ახლა ვარ. ერთ ადგილზე გაჩერებას არ ვაპირებ, თავში რომ ამივარდეს და დღევანდელობით დავკმაყოფილდე, დავეცემი როგორც სპორტსმენი.

— შენი შემდეგი ნაბიჯი საქართველოს ჩემპიონობა იქნება?

— ძალიან მინდა, „დინამოსთან“ ერთად ჩემპიონი გავხდე და ამას წინ არც არაფერი დაუდგება.

**დავით თავართქილაძე**

# ხურცილავამ კიკნაძე იპოვა, კიკნაძემ იმედი

*27 თებერვალს საქართველოს თასის გათამაშება განახლდება. გუნდების უმეტესობამ, ვინ როგორ, მაგრამ მაინც დაასრულა საახალსეზონო მზადება. გამონაკლისი არც თბილისის „სპარტაკია“, რომელსაც პარასკევს სათასო დაპირისპირებაში თბილისის თასის მფლობელი „პრემა“ ელის. კლუბის ამბების გასაგებად „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას შევეხმიანეთ*

— კლუბში ნორმალური სამუშაო სიტუაციაა. აქცენტს ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ. გუნდის ბირთვს 19-21 წლის ახალგაზრდები შეადგენენ.

— მხოლოდ ახალგაზრდებით ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაგიჭირდებათ?

— არის ერთი სიახლე. გარდა იმისა, რომ ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, აკაკი დევაძე დავიმატეთ, ახლახან გადაწყდა, რომ გიორგი კიკნაძითაც გავძლიერდებით. მჯერა, გიორგი შეძლებს დაკარგულის ანაზღაურებას და მისი სახით ჩვენს ჩემპიონატში უძლიერესი ნახევარმცველი გვეყოლება. ვფიქრობ, ამით ქართულ ფეხბურთსაც დიდ სამსახურს გავუწევთ.

— ახლა „ლოკომოტივსაც“ საკმაოდ უჭირს და მისი შვილობილი „სპარტაკის“ საქმეები როგორ იქნება?

— ამ ეტაპზე საერთო სურათი დამაკმაყოფილებელია. მართალია, მოწინავე გუნდების დონეს ვერ შევწვდებით, მაგრამ პირობები ჩვენი ჩემპიონატის მონაწილე ბევრ კლუბზე ნაკლებიც არ გვექნება. ყოველ შემთხვევაში, საპრეტენზიო ბიჭებს ჯერჯერობით არაფერი აქვთ. ჩემი გუნდის ბირთვს სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებსაც ჯერ ყველაფერი წინ აქვთ და ამ ეტაპზე მათთვის მატერიალურ დაინტერესებაზე აქტუალური თამაშის პერსპექტივაა.

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება?

— ახლა გაცილებით ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვფიქრობ, ადგილის შენარჩუნებას შევძლებთ.

— თასზე რას გეგმავთ?

— ხვალიდან მატჩისწინა შეკრებას ვაწყობთ. საკმაოდ სერიოზულად ვემზადებით. უდავოა, დევაძის და კიკნაძის მხარდამხარ თამაშით ჩემი ფეხბურთელები დამატებით სტიმულს მიიღებენ.

„სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელს, გუნდის ახალწვეულს *გიორგი კიკნაძეს* გავესაუბრეთ.

— „სპარტაკთან“ მოლაპარაკება დავასრულე და გადაწყდა, რომ კლუბს სეზონის ბოლომდე დავეხმარები. ეს ორივე მხარისთვის მისაღები წინადადება აღმოჩნდა. „სპარტაკის“ ახალგაზრდულ გუნდს აუცილებლად სჭირდებოდა გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერება, მე კი სათამაშო პრაქტიკა და საკუთარი ძალის რწმენის აღდგენა.

— რატომ მაინცდამაინც „სპარტაკი“?

— ამ კლუბშია მურთაზ ხურცილავა, ვისთანაც ადრეც მიმუშავია. მან ძალიან კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები და, რაც მთავარია, სჯერა, რომ შევძლებ სათამაშო ფორმის აღდგენას. მასთან საუბარმა დამარწმუნა, რომ სათამაშო პრაქტიკის მხრივ პრობლემა არ მექნება. ეს კი ახლა ჩემთვის გადამწყვეტი ფაქტორია.

— ერთი სიტყვით, დიდ ფეხბურთში ბრუნდები...

— რატომაც არა? არ მეყო, რაც გამიცდა?! „სპარტაკის“ შემადგენლობაში უკვე ვითამაშე ერთი მატჩი „სიონის“ წინააღმდეგ. მოედანზე 45 წუთი დავყავი. არც ზურგის ტკივილი მიგვრძნია და არც დაღლა. ჩემი თამაშით ხურცილავაც კმაყოფილი დარჩა. ვფიქრობ, შევძლებ ფორმის აღდგენას, მთავარი პრაქტიკაა.

**დავით ერაძე**



მურთაზ ხურცილავამ და გიორგი კიკნაძემ საერთო ენა და გუნდი გამონახეს



ლევან სილაგაძე (მარჯვნივ) სატრანსფერო გზაგასაყარზეა

*კიევის „არსენალის“ ფინანსურმა პრობლემებმა ორ ქართველ ფეხბურთელს შეუშალა ხელი — ლევან სილაგაძე და დავით ჩალაძე დღემდე თავს იკავებენ ასეთ დღეში მყოფ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებაზე.*

*ჩალაძეს კიევისკენ გული ისედაც არ მიუწევდა და უკეთესი ვარიანტების მოლოდინში იყო, აი, სილაგაძეს კი „არსენალთან“ ყველაფერი შეთანხმებული აქვს, თუმც...*

*დანარჩენზე თავად ლევანი გვესაუბრა, რომელიც ახლა თბილისშია და თავისი მომავლის გარკვევას დღე-დღეზე აპირებს...*

# ჩეჩნური ვარიანტი

— ჯერჯერობით სიტუაციის გამოკეთებას ველოდები. ვნახავ, რა როგორ იქნება და იმის მიხედვით ვიმოქმედებ. „არსენალს“ ფინანსური პრობლემები აქვს და სანამ ეს არ მოგვარდება, ჩემი კიევში წასვლა გამორიცხულია.

— ორიოდ კვირის წინ ხომ კიევში კონტრაქტის გასაფორმებლად წახვედი?

— კი, მაგრამ ეს საკითხი გადაიდო. მაშინაც იოლი მისახვედრი იყო, რაც ხდებოდა კლუბში. ამიტომ „არსენალის“ თავკაცობას წინასწარ შევუთანხმდი და კონტრაქტი ოფიციალურად არ გამიფორმებია.

— ახლა რას აპირებ?

— კიევიდან ზარს ველი.

— ეს ვარიანტი რომ არ გამოვიდეს?

— ორი-სამი წინადადება კიდევ მაქვს. უგუნდოდ არ დავრჩები.

— მაინც რომელი კლუბებიდან?

— გროზნოს „ტერეკი“ და კიდევ ორი რუსული კლუბია. „ურალანიც“ იყო ადრე, მაგრამ ეს ვარიანტი ახლა აღარ არსებობს.

— რუსეთის პირველ ლიგაში თამაშზე თანახმა ხარ?

— უკეთესი თუ არ გამოჩნდა, წავალ, აბა, რა ვქნა?! ამაში კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ. ორი წლის წინაც წავედი ყაზანის „რუბინში“ და...

— კი მაგრამ, საქმეც ეგ არის, იგივე გზის გავლა გიწევს...

— მერე რა?! „ტერეკი“ პრემიერლიგაში გადასვლას აპირებს და ერთი სეზონი პირველ ლიგაში თამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ყაზანში რომ ჩავედი, მაშინაც ირონიულად ამბობდნენ, სილაგაძე პირველ ლიგაში წავიდა და იქ ჩაიკარგებაო, მაგრამ ასე ხომ არ მოხდა?!

— ერთი სიტყვით, „არსენალში“ სიტუაციის გამოსწორება უფრო გაწყობს...

— ეგ არავინ იცის. ვნახოთ, მერე გამოჩნდება, რა უკეთესი იყო და რა არა.

— საქართველოში დაბრუნებაზე არ გიფიქრია?

— არ ვიცი. წინასწარ ვერაფერს გეტყვი. მოლაპარაკებას გააჩნია.

**კახა შალამბერიძე**

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

*არიან ფეხბურთელები, რომელთაც თამაშის განსაკუთრებული ხელწერა და ასეთივე სპორტული ბიოგრაფია აქვთ.*

*ვახტანგ ქორიძე 25 წლის იყო, თბილისის „დინამოში“ ხელმეორედ რომ მივიდა და მყისვე გაუშინაურდა ახალ, დიდ გარემოს — საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში წარმატებით თამაში პატარა ამბავი სულაც არ იყო.*

*ქორიძე გამოირჩეოდა ძლიერი, შორეული დარტყმებით. მაშინ ეს იშვიათობა იყო და მაშინდელი ტყავის ბურთებიც ისე სწრაფად როდი დაფრინავდნენ, როგორც თანამედროვე სინთეტიკური ბურთები.*

*„ტუხა“ — ასე ეძახდნენ ქორიძეს ახლობლები და გულშემატკივრებიც და მან საბჭოთა კავშირის ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა რამდენიმე მატჩი.*

*დანარჩენს თავად ქორიძე გიამბობთ.*

***დავით თავართქილაძე***



სარბიელის არქივიდან

# შავგვრემანი დამრტყმელი ბათუმიდან

## სიგარეტით დაწყებული და ნემსით დამთავრებული ამბავი

**სანამ** თბილისის „დინამოში“ ფეხს მოვიკიდებდი, ბათუმის „დინამოში“ ვთამაშობდი, საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში. სხვათაშორის, მეორე ლიგა საკმაოდ კარგი და საინტერესო იყო, ჩვენ ხომ ძირითადად სხვა რესპუბლიკების გუნდებს ვხვდებოდით და ხალხიც დადიოდა სტადიონზე. ბათუმში ტრიბუნები სულ სავსე იყო მაშინაც კი, კოკისპირულად რომ წვიმდა.

პირველად თბილისის „დინამოში“ 1969 წელს მიმიყვანეს, როცა გუნდს გივი ჩოხელი წვრთნიდა. მაგრამ მაშინ ვერ მოვახერხე ძირითად შემადგენლობაში, ასე ვთქვათ, ჩაჯდომა და ერთი სეზონის შემდეგ ბათუმში დავბრუნდი — ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და „დინამოს“ დარ დიდ გუნდში თამაში ერთობ გამიჭირდა.

ერთი სიტყვით, ბათუმში გავაგრძელე თამაში. მაშინ მცველი ვიყავი, სტოპერი. ასე გრძელდებოდა 1975 წლამდე. მაგრამ ერთხელ, „დილასთან“ გორში გვქონდა თამაში და იმ შეხვედრას „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი დაესწრო. ის ალბათ ადრეც მაკვირდებოდა, მაგრამ ჩემი „დინამოში“ ხელმეორედ მისვლა ამ თამაშის შემდეგ გადაწყდა.

იაკუშინმა „დინამოში“ კიდევ ერთი ახალწვეულიც იახლა ოჩამჩირის „ამირანიდან“ — ვიტალი დარასელია. მოკლედ, მე და ვიტალი ერთად მივედით „დინამოში“, ერთად ვცხოვრობდით ბაზაზე და მერე ბინებიც ერთდროულად მოგვცეს, თანაც მეზობლებიც გავხდით.

მეორე ლიგიდან „დინამოში“ აღმოვჩნდი, სულ სხვა სიმაღლეზე. მოსამზადებელი ეტაპი ლესელიძეში გავიარეთ. „დინამოში“ გატარებული პირველი თვე ძალიან გამიჭირდა — დატვირთვები ბათუმის „დინამოსთან“ შედარებით ძალიან დიდი იყო, თუმც გავუძელი.

მაგრამ მერე დადგა თამაშის დრო და ესეც ძნელი გამოდგა. თავიდან ძალიან მიჭირდა „დინამოში“ თამაში, მაგრამ იაკუშინი მენდობოდა და ამან დიდი როლი შეასრულა — მან თითქმის ყველა მატჩში მათამაშა და მეც ნელ-ნელა ავთამაშდი — გარკვეული დროის შემდეგ თითქოს მეორე სუნთქვა გამეხსნა.

მომდევნო სეზონისთვის „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად ნოდარ ახალკაცი დაინიშნა. 1976 წელს საბჭოთა კავშირში ორი ჩემპიონატი ჩაატარეს — საგაზაფხულო და საშემოდგომო. ჩვენ ჯერ მეორე ადგილი დავიკავეთ, მერე მესამე — „დინამოში“ ალმავლობა დაიწყო.

გუნდი იაკუშინის დროსაც ურიგოდ როდი იყო აწყობილი, მაგრამ ახალკაცმა ძალიან მძლავრი კოლექტივი შექმნა, ისეთი, რომლის თითოეული წევრი მხოლოდ დიდი წარმატებებისთვის ფიქრობდა. ეს ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ ქართველის ხასიათი ქართველმა უფრო კარგად იცის — ახალკაცმა „დინამოში“ განსაკუთრებული დისციპლინა შემოიღო, გუნდი ერთ მუშტად შეკრა.

ახალკაცმა ნახევარდაცვაში გამამწესა. მცველად თამაში უფრო ადვილია, ნახევარმცველი კი წინაც უნდა იყოს და უკანაც, რასაც მეტი ჯანი უნდა — ძალღივით უნდა ირბინო 90 წუთი. მე ნახევარდაცვის ფლანგებზე მიწევდა თამაში, უფრო მარცხნივ, თუმც ხანდახან საყრდენადაც ვთამაშობდი. ზოგიერთ გასვლით მატჩზე „დინამო“ ორი საყრდენიდაც გადიოდა — მე და მანუჩარ მაჩაიძე.

რაც შეეხება „დინამოს“ დაცვის ხაზს, ძალიან კარგი ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგრამ შოთა ხინჩაგაშვილი განსაკუთრებულად უნდა გამოვყო. ვფიქრობ, მურთაზ ხურცილავას შემდეგ ის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მცველია. ხინჩაგაშვილი თითქოს მკვეთრად არ ჩანდა, მაგრამ სულ ოსტატურად, ტექნიკურად ართმევდა ხოლმე ბურთს მეტოქეს და არა უხეშად.

რაც შეეხება ჩემს ძლიერ დარტყმას, ამაზე საგანგებოდ არ ვვარჯიშობდი — ღმერთი რომ რაღაცით დაგასაჩუქრებს, ეგ იყო. დარტყმის დროს მხოლოდ ძლიერი ფეხი არ არის მთავარი. ხშირია, როცა მოთამაშეს ძლიერი, კარგად დაკუნთული ფეხები აქვს, მაგრამ დარტყმის ტექნიკა არ უვარგა — ბურთს „პადიომი“ ისე უნდა დაარტყა, თითქოს ზემოდან აფარებ ფეხს. მიკვირს ხოლმე, როცა ზოგიერთი დიდი ფეხბურთელი ძლიერად დარტყმულ ბურთს ზევით აუშვებს.

ორივე ფეხით კარგად ვურტყამდი და ამას ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი. ბავშვობაში მარჯვენა ფეხი ისე დავიზიანე, რომ სამი წელი ბურთს მარჯვენით ვერ ვეკარებოდი და ბურთთან სულ მარცხენა ფეხს ვხმარობდი. შემდეგ, ორივე ფეხს კარგად ვიყენებდი, მაგრამ მარჯვენით უფრო მაგრად ვურტყამდი.

ახალკაცმა მარცხენა ნახევარმცველად რომ გამამწესა, იმითაც იყო განპირობებული, რომ მარცხნიდან ცენტრისკენ შევწეულიყავი და მარჯვენით კარგად დამერტყა — ამის გამოც იყო ჩემთვის კარგი მარცხნიდან თამაში. ჯარიმებსაც ვურტყამდი, თუმც „დინამოში“ ეს მხოლოდ მე არ მევალებოდა — ძლიერად ურტყამდა მანუჩარ მაჩაიძეც, ხოლო დათო ყიფიანი ძალაზე კი არა, ტექნიკურად ასრულებდა საჯარიმო დარტყმას.

„დინამოში“ მერეც იყვნენ ძლიერი დარტყმით გამორჩეული ფეხბურთელები — გია თავაძე, თენგიზ სულაქველიძე, განსაკუთრებულად ძლიერი და კარგი დარტყმა ჰქონდა გია გურულს.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ხუთი მატჩი ვითამაშე — ორი ოფიციალური და სამი ამხანაგური, ორი გოლი გავიტანე და ორივე ამხანაგურ შეხვედრებში. თუმც შორეული დარტყმებით ნაკრებში გოლები არ გამიტანია — ორივე ახლოდან, დამატებაზე შევაგდე.

„დინამოში“ 1982 წლამდე ვიყავი, მაგრამ ბოლო ორი-სამი წელი ფაქტობრივად ვერ ვითამაშე — ფეხი ისე მტკიოდა, ვარჯიშიც მიჭირდა. ყველაფერი ეს 1979 წელს ნაკრებში მიღებული ტრავმის შედეგი გახლდათ. მაშინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გვქონდა იუგოსლავიასთან. თამაშის წინ ვარჯიშზე ბოტასებით გავედი მოსათელად გაჭიმვებისათვის. მოედანი სველი იყო, ფეხი უხერხულად გამიცურდა და საზარდულის ზევით მიმაგრების კუნთი გამიწყდა. გამაყუჩებელი ნემსი გავიკეთე და მაინც ვითამაშე, მაგრამ ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ პირველი ტაიმის შემდეგ გამოსაცვლელი გავხდი. მას შემდეგ ეს ტრავმა სრულად ვერ მოვიშუშე — ნემსით რომ ვითამაშე, მაგან დამღუპა.

ერთიც — თვრამეტი წლის გახლდით, სიგარეტის წევა რომ დავიწყე და არც არასდროს დამინებებია თავი. ახალკაცს ეს ძალიან არ მოსწონდა. გუნდში სიგარეტის მოწევაზე ჯარიმა 50 მანეთი იყო და მისი გადახდა ხშირად მიწევდა. არადა, ჩვენი ხელფასი 200 მანეთი იყო, მოგებულ თამაშზე კი პრემია 100 მანეთი...



სარბიელის არქივიდან

1979 წლის ჩემპიონთა თასის „დინამო“ - „ჰამბურგი“: ქორიძე და „დინამო“ გერმანელებს ოდენ 2:3-ს გამორჩნენ



„ტუხა“ ცაციასაც ღონივრად იქნევდა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 16.30 | 056 | სანდერლენდი-ნორვიჩი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 19.00 | 057 | ქოვენტრი-დერბი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 058 | ქრიუ-სტოუკი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 059 | კრისტალ პალასი-ჯილინგემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 060 | იფსვიჩი-პრესტონი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 061 | მილუოლი-ბარნლი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 062 | ნოტინგემი-ბრედფორდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 063 | რედინგი-შეფილდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 064 | უოტფორდი-უიმბლდონი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,31 |
| 19.00 | 065 | ვესტ ბრომვიჩი-როტერჰემი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 066 | ვესტ ჰემი-კარდიფი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 067 | უიგანი-უოლსოლი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 076 | ბლეკპული-პლიმუთი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 077 | ბორნმუთი-ოლდემი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 078 | ბრენტფორდი-ნოტსი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 079 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 080 | გრიმსბი-ბარნსლი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 081 | პიტერბორო-ლუტონი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 082 | პორტ ვეილი-სუინდონი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 083 | უესხდი-ბრისტოლი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 084 | სტოკპორტი-ბრაიტონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 085 | ტრანმერი-ქუინზ პარკი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 086 | რექსჰემი-რაშდენი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 19.00 | 087 | უიკომბი-ჰარტლპული | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 096 | დონკასტერი-კიდერმინსტერი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 097 | როვერსი-ოქსფორდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 098 | ბერი-დარლინგტონი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 19.00 | 099 | კარლაილი-ჰადერსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,19 | 1,33 |
| 19.00 | 100 | ჩელტენემი-მენსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 101 | ლინკოლნი-ჰალი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 102 | ნორთჰემპტონი-ლეიტონი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 103 | საუთენდი-მაკლსფილდი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 104 | სუონსი-როჩდეილი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| 19.00 | 105 | ტორკი-ბოსტონი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 106 | იოვილი-კემბრიჯი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 19.00 | 107 | იორკი-სკანთორპი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 114 | დაგ ენდ რედი-ჰერეფორდი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 115 | ბარნეტი-ტემუორთი | 1,4 | 3,8 | 6,0 | 1,02 | 1,13 | 2,32 |
| 19.00 | 116 | ბარტონი-ფორესტ გრინი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 19.00 | 117 | ფარნბორო-აქრინგტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 19.00 | 118 | გრეივსენდი-მორკამბი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 120 | ლეი-მარგეიტი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 19.00 | 121 | სკარბორო-სტივენიჯი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 21.35 | 122 | უოკინგი-ჩესტერი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 128 | დანფერმლაინი-ჰარტსი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 129 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 130 | კილმარნოკი-დანდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 131 | მაზერუელი-პარტიკი | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1,04 | 1,16 | 2,1 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 132 | სელტიკი-ლივინგსტონი | 1,1 | 7,0 | 17,0 | 1 | 1,03 | 4,95 |
| | 133 | სელტიკი-ლივინგსტონი 0:1 | 1,25 | 4,2 | 5,0 | | | |
| 19.00 | 134 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 136 | ეარი-ფოლკირკი | 2,9 | 3,4 | 2,15 | 1,56 | 1,23 | 1,31 |
| 19.00 | 137 | ბრეჩინი-რეითი | 2,05 | 3,5 | 3,0 | 1,29 | 1,21 | 1,61 |
| 19.00 | 138 | ინვერნესი-კლაიდი | 2,25 | 3,4 | 2,7 | 1,35 | 1,22 | 1,5 |
| 19.00 | 139 | ქუინი-როსი | 2,1 | 3,5 | 2,9 | 1,31 | 1,21 | 1,58 |
| 19.00 | 140 | სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 143 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 2,45 | 3,3 | 2,4 | 1,4 | 1,21 | 1,38 |
| 19.00 | 144 | ფორფარი-ერდრი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 19.00 | 145 | ჰამილტონი-ალოა | 2,0 | 3,5 | 3,0 | 1,27 | 1,2 | 1,61 |
| 19.00 | 146 | მორტონი-ბერვიკი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 19.00 | 147 | სტენჰაუსმუირი-არბროთი | 2,3 | 3,5 | 2,45 | 1,38 | 1,18 | 1,44 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 150 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1,15 | 5,0 | 8,0 | 1 | 1 | 3,07 |
| 19.00 | 151 | კოუდენბითი-სტრანრაერი | 3,0 | 3,5 | 2,0 | 1,61 | 1,2 | 1,27 |
| 19.00 | 152 | გრეტნა-მონტროუზი | 1,55 | 3,6 | 4,8 | 1,08 | 1,17 | 2,05 |
| 19.00 | 153 | ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |
| 19.00 | 154 | სტირლინგი-ელგინი | 1,12 | 5,6 | 9,0 | 1 | 1 | 3,45 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 018 | შტუტგარტი-შალკე | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 019 | ბოხუმი-ჰანზა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 020 | კიოლნი-მიუნხენი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 021 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 022 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 18.30 | 023 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 024 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 025 | ბაიერნი-ვოლფსბურგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 026 | ჰანოვერი-ჰერტა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.30 | 027 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 157 | კარლსრუე-არმინია | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 22.00 | 158 | ნიურნბერგი-აუე | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 22.00 | 159 | ალემანია-ფიურტი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 160 | ალენი-ბურგჰაუზენი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 161 | ოსნაბრიუკი-კოტბუსი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 18.00 | 162 | ობერჰაუზენი-მაინცი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 163 | უნიონი-დუისბურგი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 164 | რეგენსბურგი-უნტერჰახინგი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 23.15 | 165 | ტრიერი-ლიუბეკი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **იტალია. სერია A. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 028 | სიენა-რეჯინა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 23.30 | 029 | ემპოლი-უდინეზე | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 030 | ლეჩე-მოდენა | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 18.00 | 031 | პარმა-რომა | 3,5 | 3,0 | 2,1 | 1,61 | 1,31 | 1,23 |
| 18.00 | 032 | იუვენტუსი-ანკონა | 1,05 | 7,5 | 20,0 | 1 | 1 | 5,45 |
| | 033 | იუვენტუსი-ანკონა 0:1 | 1,25 | 4,0 | 5,3 | | | |
| 18.00 | 034 | პერუჯა-ბოლონია | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 |
| 18.00 | 035 | ინტერი-ბრეშა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 036 | ინტერი-ბრეშა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.00 | 037 | სამპდორია-კიევო | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 23.30 | 038 | ლაციო-მილანი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **იტალია. სერია B. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 193 | აველინო-ვენეცია | 2,25 | 2,6 | 3,3 | 1,2 | 1,33 | 1,45 |
| 23.30 | 194 | ჯენოა-ტერნანა | 2,45 | 2,6 | 3,1 | 1,26 | 1,36 | 1,41 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 195 | ალბინოლეფე-ბარი | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 18.00 | 196 | ასკოლი-ნაპოლი | 2,45 | 2,5 | 3,2 | 1,23 | 1,38 | 1,4 |
| 18.00 | 197 | კალიარი-ატალანტა | 2,35 | 2,5 | 3,4 | 1,21 | 1,38 | 1,44 |
| 18.00 | 198 | კომო-ტრევიზო | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 18.00 | 199 | მესინა-კატანია | 2,0 | 2,5 | 4,4 | 1,11 | 1,37 | 1,59 |
| 18.00 | 200 | პალერმო-ტორინო | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 201 | პიაჩენცა-ფიორენტინა | 1,95 | 2,6 | 4,4 | 1,11 | 1,35 | 1,63 |
| 18.00 | 202 | სალერნიტანა-ლივორნო | 2,25 | 2,5 | 3,6 | 1,18 | 1,38 | 1,47 |
| 18.00 | 203 | ტრიესტინა-პესკარა | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 204 | ვერონა-ვიჩენცა | 2,1 | 2,5 | 4,2 | 1,14 | 1,4 | 1,56 |
| | | **იტალია. სერია C1/A. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 17:30 | 207 | ნოვარა-ტორესი | 1,65 | 2,7 | 7,0 | 1,02 | 1,33 | 1,94 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 039 | მალიორკა-ატლეტიკო | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 00.30 | 040 | ბეტისი-სევილია | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 041 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 20.00 | 042 | მურსია-ოსასუნა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 20.00 | 043 | მალაგა-რასინგი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 044 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 045 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 20.00 | 046 | ესპანიოლი-ვალენსია | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 22.00 | 047 | რეალი-სელტა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 048 | რეალი-სელტა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 24.00 | 049 | დეპორტივო-ბარსელონა | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 20.15 | 222 | ნანტი-სტრასბური | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.00 | 223 | გენგამი-მეცი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 224 | ლე მანი-რენი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 23.00 | 225 | ლანსი-ლიონი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 23.00 | 226 | მონპელიე-ლილი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.00 | 227 | ტულუზი-მონაკო | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 228 | აიაჩო-ბორდო | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 21.00 | 229 | ნიცა-მარსელი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 21.00 | 230 | სოშო-ბასტია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 24.00 | 231 | ოსერი-პსჟ | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23.15 | 235 | შატორუ-ამიენი | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 236 | ანჟე-კლერმონი | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 23.00 | 237 | კრეტეი-ვალანსი | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |
| 23.00 | 238 | გენიონი-კაენი | 2,8 | 2,6 | 2,7 | 1,34 | 1,37 | 1,32 |
| 23.00 | 239 | ისტრი-გრენობლი | 1,65 | 3,0 | 6,0 | 1,06 | 1,29 | 2 |
| 23.00 | 240 | ლე ავრი-ლავალი | 1,65 | 3,0 | 6,0 | 1,06 | 1,29 | 2 |
| 23.00 | 241 | ლორიანი-სედანი | 1,95 | 2,8 | 4,2 | 1,14 | 1,33 | 1,68 |
| 23.00 | 242 | ნანსი-რუანი | 1,65 | 3,0 | 6,0 | 1,06 | 1,29 | 2 |
| 23.00 | 243 | ნიორი-ტრუა | 1,85 | 2,8 | 4,6 | 1,11 | 1,31 | 1,74 |
| 23.00 | 244 | სტ.ეტიენი-ბეზანსონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 01.30 | 248 | გიმარაეში-ნასიონალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 249 | ბელენენსეში-ბოავიშტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 01.15 | 250 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 251 | ფეირეირა-რიუ ავე | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 20.00 | 252 | ამადორა-ბეირა მარი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 20.00 | 253 | ლეირია-ჟილ ვისენტე | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.00 | 254 | ბენფიკა-მორეირენსე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 255 | ბრაგა-ალვერკა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 01.15 | 256 | აკადემიკა-პორტუ | 6,5 | 3,8 | 1,45 | 2,39 | 1,18 | 1,04 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 300 | ლუვიე-სტანდარდი | 3,8 | 3,1 | 1,95 | 1,7 | 1,28 | 1,19 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 301 | ანტვერპენი-მუსკრონი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 23.00 | 302 | გენკი-ლიერსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.00 | 303 | ანდერლეხტი-ჰეუსდენი | 1,12 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,03 | 4,19 |
| | 304 | ანდერლეხტი-ჰეუსდენი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,2 | | | |
| 23.00 | 305 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.00 | 306 | გენტი-ბეერსხოტი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 307 | ვესტერლო-ლოკერენი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 308 | სერკლი-მონსი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 309 | ბევერენი-ბრიუგე | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 324 | ადმირა-შტურმი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 325 | მატერსბურგი-ბრეგენცი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 18.30 | 326 | პაშინგი-ზალცბურგი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 18.30 | 327 | რაპიდი-კერნტენი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 19.30 | 328 | გრაცერი-აუსტრია | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 331 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,15 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,05 | 4,05 |
| 22.30 | 332 | სერვეტი-თუნი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 17.30 | 333 | ვილი-აარაუ | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.30 | 334 | იანგ ბოისი-ციურიხი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| 19.15 | 335 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 360 | რიზე-ელაზიგი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 21.00 | 361 | სამსუნი-ტრაბზონი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 362 | ადანა-გაზიანთეფი | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |
| 15.30 | 363 | ანკარაგუჯუ-მალათია | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 15.30 | 364 | ბურსა-დენიზლი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 15.30 | 365 | სებათი-დიარბაქირი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.30 | 366 | კონია-გენჩლერბირლიგი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 18.00 | 367 | ბეშიქთაში-ისთანბული | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 21.00 | 368 | ფენერბაჩე-გალათასარაი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **მექსიკა. კლაუსურა. VII ტური** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 06.45 | 458 | ატლასი-ამერიკა | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 06.45 | 459 | მორელია-პუებლა | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი. ფინალი (კარდიფში).** | | | | | | |
| | | **29 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 478 | ბოლტონი-მიდლსბრო | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| | | **უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 481 | სპარტაკი-მალიორკა | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 20.00 | 482 | ვოლერენგა-ნიუკასლი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 483 | გროცლინი-ბორდო | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 21.00 | 484 | გაზიანთეფი-რომა | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 22.00 | 485 | მარსელი-დნიპრო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.30 | 486 | პარმა-გენჩლერბირლიგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.30 | 487 | პერუჯა-პსვ | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 22.30 | 488 | გალათასარაი-ვილიარეალი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.00 | 489 | ოსერი-პანათინაიკოსი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.30 | 490 | ბრიონდბი-ბარსელონა | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 23.30 | 491 | ბრიუგე-დებრეცენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.45 | 492 | სელტიკი-ტეპლიცე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 24.00 | 493 | ლივერპული-ლევსკი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 24.00 | 494 | სოშო-ინტერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 00.30 | 495 | ვალენსია-ბეშიქთაში | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 01.15 | 496 | ბენფიკა-რუზენბორგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 02.00 | 504 | სან პაულუ-კობრელოა | 1,25 | 4.6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 04.15 | 505 | როსარიო-სპორტინგ კრისტალი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 06.30 | 506 | ხუნინიანი-ელ ნაციონალი | 1.55 | 3.5 | 5.3 | 1.07 | 1,19 | 2,1 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 17.30 | 1001 | ს.იულაევი-ხიმიკი | 1,55 | 5.0 | 3,5 | 1.18 | 1,07 | 2,05 |
| 17.30 | 1002 | მაგნიტოგორსკი-აკ ბარსი | 1.6 | 5,3 | 3,0 | 1,22 | 1,04 | 1,91 |
| 18.30 | 1003 | ლადა-ავანგარდი | 1.8 | 4.6 | 2.7 | 1,29 | 1,08 | 1,7 |
| 19.30 | 1004 | ლოკომოტივი-ამური | 1.2 | 7,0 | 6.5 | 1,02 | 1,01 | 3,37 |
| 19.30 | 1005 | ტორპედო-ცსკა | 2.8 | 4,8 | 1.75 | 1,76 | 1,07 | 1,28 |
| 20.00 | 1006 | დინამო-ნეფტეხიმიკი | 1,5 | 5,0 | 3,8 | 1.15 | 1,07 | 2.15 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 1027 | ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 1.8 | 3,5 | 3,2 | 1.18 | 1.15 | 1,67 |
| 20.30 | 1028 | კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 2,7 | 4.2 | 1.85 | 1.64 | 1,09 | 1,28 |
| 20.30 | 1029 | ლიბერეცი-ლიტვინოვი | 2.0 | 3.8 | 2.7 | 1,31 | 1,14 | 1.57 |
| 20.30 | 1030 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1,35 | 4.8 | 5.0 | 1,05 | 1,06 | 2,44 |
| 20.30 | 1031 | პლზენი-კლადნო | 1.6 | 4.6 | 3.5 | 1.18 | 1,09 | 1,98 |
| 20.30 | 1032 | ზნოიმო-სპარტა | 2,15 | 4,0 | 2,35 | 1,39 | 1,12 | 1,48 |
| 20.30 | 1033 | ზლინი-ვსეტინი | 1,3 | 4.2 | 5.6 | 1 | 1,05 | 2,39 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 1050 | ინგოლშტადტი-კიოლნი | 2,0 | 4,6 | 2,4 | 1.39 | 1,09 | 1,57 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 1051 | ჰანოვერი-იზერლონი | 2.1 | 4,4 | 2,35 | 1.42 | 1,1 | 1,53 |
| 22.30 | 1052 | მანჰაიმი-ჰამბურგი | 1,95 | 4,4 | 2.5 | 1,35 | 1,09 | 1,59 |
| 22.30 | 1053 | დიუსელდორფი-ფრაიბურგი | 1,15 | 6.5 | 7,5 | 1 | 1 | 3,48 |
| 22.30 | 1054 | ფრანკფურტი-აისბარენი | 2,0 | 4.4 | 2,45 | 1,37 | 1,1 | 1,57 |
| 22.30 | 1055 | აუგსბურგი-ნიურნბერგი | 2,1 | 4,6 | 2,3 | 1,44 | 1,09 | 1.53 |
| 23.00 | 1056 | კრეფელდი-კასელი | 1,85 | 4.4 | 2.7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 1070 | ბაზელი-ამბრი | 3,0 | 4,8 | 1,7 | 1.84 | 1,08 | 1,25 |
| 22.30 | 1071 | ბერნი-დავოსი | 1,85 | 4.4 | 2,7 | 1.3 | 1,09 | 1,67 |
| 22.30 | 1072 | ფრიბურგი-ლანგნაუ | 1,3 | 5,3 | 5,3 | 1,04 | 1,04 | 2,65 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 1073 | სერვეტი-ლუგანო | 2,15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| 22.30 | 1074 | კლოტენი-ლოზანა | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 22.30 | 1075 | ცუგი-რაპერსვილი | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 1092 | ლულეო-ტიმრო | 1,8 | 4,2 | 2,8 | 1,26 | 1,09 | 1,68 |
| 22.00 | 1094 | მოდო-ფრიოლუნდა | 2,5 | 4,2 | 1,95 | 1,56 | 1,09 | 1,33 |
| 22.00 | 1095 | იურგორდენი-მალმიო | 1,5 | 4,8 | 3,8 | 1,14 | 1,07 | 2,12 |
| 22.00 | 1096 | სოდერტელიე-ფერიესტადი | 2,4 | 4,2 | 2,05 | 1,52 | 1,1 | 1,37 |
| 22.00 | 1097 | ლექსანდი-ლინშიოპინგი | 2,45 | 4,2 | 2,0 | 1,54 | 1,1 | 1,35 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 1107 | ილვესი-ტაპარა | 1,55 | 4,6 | 3,6 | 1,15 | 1,08 | 2,01 |
| 20.30 | 1108 | იუვესკიულე-ჰამეენლინა | 2,35 | 4,4 | 2,05 | 1,53 | 1,09 | 1,39 |
| 20.30 | 1109 | პელიკანსი-ესპო | 4,4 | 5,0 | 1,4 | 2,34 | 1,06 | 1,09 |
| 20.30 | 1110 | საიპა-კალპა | 4,2 | 5,0 | 1,45 | 2,28 | 1,07 | 1,12 |
| 20.30 | 1111 | ტურკუ-ლუკო | 1,8 | 4,4 | 2,8 | 1,27 | 1,09 | 1,71 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 1112 | ჰელსინკი-ილვესი | 1,65 | 4,6 | 3,2 | 1,21 | 1,08 | 1,88 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 04.00 | 1137 | ბოსტონი-მონრეალი | 2,0 | 3,4 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,59 |
| 04.00 | 1138 | აილენდერსი-რეინჯერსი | 2,1 | 3,4 | 2,8 | 1,29 | 1,19 | 1,53 |
| 04.00 | 1139 | ტამპა ბეი-ტორონტო | 2,2 | 3,6 | 2,45 | 1,36 | 1,15 | 1,45 |
| 04.30 | 1140 | ოტავა-ფილადელფია | 2,1 | 3,4 | 2,8 | 1,29 | 1,19 | 1,53 |
| 05.00 | 1141 | ნეშვილი-მინესოტა | 1,95 | 3,6 | 2,9 | 1,26 | 1,16 | 1,6 |
| 05.00 | 1142 | კოლორადო-სტ.ლუისი | 1,85 | 3,6 | 3,1 | 1,22 | 1,15 | 1,66 |
| 06.00 | 1143 | კალგარი-დეტროიტი | 2,4 | 3,5 | 2,3 | 1,42 | 1,17 | 1,38 |
| 07.00 | 1144 | ვანკუვერი-სან ხოსე | 2,1 | 3,6 | 2,6 | 1,32 | 1,16 | 1,5 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 1201 | აეკ-პანათინაიკოსი | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 04.00 | 1221 | ვაშინგტონი-ჩიკაგო | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |
| 05.00 | 1222 | დალასი-სან ანტონიო | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |
| 07.30 | 1223 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,4 | 10,0 | 2,2 | 1,22 | 1 | 1,8 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5009 | არსენალი-ჩარლტონი | 1.5 | 3.1 | 7.5 | 1.01 | 1.25 | 2.19 |
| 5011 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 2.6 | 2.05 | 3.8 | 1.14 | 1.54 | 1.33 |
| 5012 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2.7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 5013 | ფულემი-მანჩესტერი | 5.3 | 2.15 | 2.05 | 1.52 | 1.47 | 1.04 |
| 5014 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 2.5 | 2.05 | 4.0 | 1.12 | 1.53 | 1.35 |
| 5015 | სიტი-ჩელსი | 4.6 | 2.1 | 2.3 | 1.44 | 1.53 | 1.09 |
| 5016 | ლიდსი-ლივერპული | 3.8 | 2.05 | 2.6 | 1.33 | 1.54 | 1.14 |
| 5017 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 3.6 | 2.05 | 2.7 | 1.3 | 1.54 | 1.16 |
| 5018 | შტუტგარტი-შალკე | 2.5 | 2.1 | 3.8 | 1.14 | 1.5 | 1.35 |
| 5019 | ბოხუმი-ჰანზა | 2.1 | 2.15 | 5.3 | 1.06 | 1.5 | 1.52 |
| 5020 | კიოლნი-მიუნხენი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 5021 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2,7 | 2.1 | 3.5 | 1,18 | 1.52 | 1.31 |
| 5022 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 5023 | ვერდერი-დორტმუნდი | 2.4 | 2.1 | 4.2 | 1.12 | 1.52 | 1.4 |
| 5024 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.55 | 2.8 | 7.5 | 1 | 1.28 | 2.03 |
| 5026 | ჰანოვერი-ჰერტა | 2,7 | 2.1 | 3.5 | 1.18 | 1.52 | 1,31 |
| 5027 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2.1 | 3.8 | 1.14 | 1.5 | 1,35 |
| 5028 | სიენა-რეჯინა | 2.5 | 2.05 | 4.0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5029 | ემპოლი-უდინეზე | 3,4 | 2,05 | 2.9 | 1.27 | 1.56 | 1.2 |
| 5030 | ლეჩე-მოდენა | 2.4 | 2.05 | 4.4 | 1.1 | 1,55 | 1,39 |
| 5031 | პარმა-რომა | 4.0 | 2.05 | 2.45 | 1,35 | 1,51 | 1.11 |
| 5032 | იუვენტუსი-ანკონა | 1.15 | 5.0 | 10.0 | 1 | 1.03 | 3.33 |
| 5034 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 2.05 | 3,3 | 1.21 | 1.57 | 1.26 |
| 5035 | ინტერი-ბრეშა | 1,7 | 2,5 | 6,0 | 1.01 | 1.32 | 1,76 |
| 5037 | სამპდორია-კიევო | 2,4 | 2,05 | 4.4 | 1.1 | 1.55 | 1,39 |
| 5038 | ლაციო-მილანი | 3,2 | 2.05 | 3,0 | 1.24 | 1.54 | 1.21 |
| 5039 | მალიორკა-ატლეტიკო | 2,7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 5040 | ბეტისი-სევილია | 2,7 | 2,05 | 3.6 | 1,16 | 1.54 | 1.3 |
| 5041 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,95 | 2.2 | 6.0 | 1,03 | 1,47 | 1.6 |
| 5042 | მურსია-ოსასუნა | 3.2 | 2.05 | 3,1 | 1,24 | 1.57 | 1.23 |
| 5043 | მალაგა-რასინგი | 2.5 | 2.05 | 4.0 | 1.12 | 1.53 | 1.35 |
| 5044 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 2,45 | 2.05 | 4.2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5045 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,7 | 2,05 | 3.6 | 1.16 | 1,54 | 1,3 |
| 5046 | ესპანიოლი-ვალენსია | 5.0 | 2.15 | 2.15 | 1.5 | 1.5 | 1,07 |
| 5047 | რეალი-სელტა | 1,65 | 2,8 | 6.0 | 1.03 | 1,29 | 1.9 |
| 5049 | დეპორტივო-ბარსელონა | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1.11 | 1.54 | 1.37 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | არსენალი-ჩარლტონი | 1,2 | 4.0 |
| 5411 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 1.8 | 2.0 |
| 5412 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,0 |
| 5413 | ფულემი-მანჩესტერი | 2,5 | 1,55 |
| 5414 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 2,1 |
| 5415 | სიტი-ჩელსი | 2,2 | 1,7 |
| 5416 | ლიდსი-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 5417 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,95 | 1,85 |
| 5418 | შტუტგარტი-შალკე | 1,75 | 2,1 |
| 5419 | ბოხუმი-ჰანზა | 1,55 | 2,5 |
| 5420 | კიოლნი-მიუნხენი | 1,8 | 2,0 |
| 5421 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,8 | 2,0 |
| 5422 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,0 |
| 5423 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,7 | 2,2 |
| 5424 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,25 | 3,6 |
| 5426 | ჰანოვერი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5427 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,75 | 2,1 |
| 5428 | სიენა-რეჯინა | 1,7 | 2,2 |
| 5429 | ემპოლი-უდინეზე | 1,95 | 1,85 |
| 5430 | ლეჩე-მოდენა | 1,65 | 2,3 |
| 5431 | პარმა-რომა | 2,1 | 1,75 |
| 5432 | იუვენტუსი-ანკონა | 1,05 | 6,5 |
| 5434 | პერუჯა-ბოლონია | 1,85 | 1,95 |
| 5435 | ინტერი-ბრეშა | 1,3 | 3,4 |
| 5437 | სამპდორია-კიევო | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ლაციო-მილანი | 1,9 | 1,9 |
| 5439 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 5440 | ბეტისი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 5441 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,4 | 3,0 |
| 5442 | მურსია-ოსასუნა | 1,9 | 1,9 |
| 5443 | მალაგა-რასინგი | 1,75 | 2,1 |
| 5444 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,75 | 2,1 |
| 5445 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,85 | 1,95 |
| 5446 | ესპანიოლი-ვალენსია | 2,4 | 1,6 |
| 5447 | რეალი-სელტა | 1,25 | 3,7 |
| 5449 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,75 | 2,1 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.00 | 7481 | სპარტაკი-მალიორკა | 2,8 | 1,3 |
| 20.00 | 7482 | ვალერენგა-ნიუკასლი | 5,0 | 1,1 |
| 21.00 | 7483 | გროცლინი-ბორდო | 2,8 | 1,3 |
| 21.00 | 7484 | გაზიანთეპი-რომა | 4,0 | 1,15 |
| 22.00 | 7485 | მარსელი-დნეპრი | 1,15 | 4,0 |
| 22.30 | 7486 | პარმა-გენჩლერბირლიგი | 1,3 | 2,8 |
| 22.30 | 7487 | პერუჯა-პსვ | 2,8 | 1,3 |
| 22.30 | 7488 | გალათასარაი-ვილიარეალი | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 7489 | ოსერი-პანათინაიკოსი | 1,55 | 2,1 |
| 23.30 | 7490 | ბრიონდბი-ბარსელონა | 4,0 | 1,15 |
| 23.30 | 7491 | ბრიუგე-დებრეცენი | 1,2 | 3,5 |
| 23.45 | 7492 | სელტიკი-ტეპლიცე | 1,2 | 3,5 |
| 24.00 | 7493 | ლივერპული-ლევსკი | 1,1 | 5,0 |
| 24.00 | 7494 | სოშო-ინტერი | 2,8 | 1,3 |
| 00.30 | 7495 | ვალენსია-ბეშიქთაში | 1,25 | 3,1 |
| 01.15 | 7496 | ბენფიკა-როზენბორგი | 1,45 | 2,3 |

| 1-ლი ტაიმი/მირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | არსენალი-ჩარლტონი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5111 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5112 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5113 | ფულემი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5114 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5115 | სიტი-ჩელსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5116 | ლიდსი-ლივერპული | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5117 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5118 | შტუტგარტი-შალკე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5119 | ბოხუმი-ჰანზა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | კიოლნი-მიუნხენი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5121 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5122 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5123 | ვერდერი-დორტმუნდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5124 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 5126 | ჰანოვერი-ჰერტა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5127 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5128 | სიენა-რეჯინა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5129 | ემპოლი-უდინეზე | 4,0 | 10, | 020,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5130 | ლეჩე-მოდენა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5131 | პარმა-რომა | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5132 | იუვენტუსი-ანკონა | 1,15 | 25,0 | 60,0 | 3,6 | 8,5 | 30,0 | 30,0 | 25,0 | 30,0 |
| 5134 | პერუჯა-ბოლონია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5135 | ინტერი-ბრეშა | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5137 | სამპდორია-კიევო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5138 | ლაციო-მილანი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5139 | მალიორკა-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5140 | ბეტისი-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5141 | სოსიედადი-ალბასეტე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5142 | მურსია-ოსასუნა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5143 | მალაგა-რასინგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5144 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5145 | ვილიარეალი-ბილბაო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5146 | ესპანიოლი-ვალენსია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5147 | რეალი-სელტა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5149 | დეპორტივო-ბარსელონა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | არსენალი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5311 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5312 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ფულემი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | სიტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5316 | ლიდსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5317 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5328 | სიენა-რეჯინა | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ემპოლი-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ლეჩე-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5331 | პარმა-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5332 | იუვენტუსი-ანკონა | 2,0 | 1,6 |
| 5334 | პერუჯა-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ინტერი-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5337 | სამპდორია-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ლაციო-მილანი | 1,6 | 2,0 |
| 5339 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ბეტისი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5341 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5342 | მურსია-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5343 | მალაგა-რასინგი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5345 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5346 | ესპანიოლი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5347 | რეალი-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 5349 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | არსენალი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ფულემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | სიტი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლიდსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | შტუტგარტი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბოხუმი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | კიოლნი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ვერდერი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ჰანოვერი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | სიენა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ემპოლი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ლეჩე-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | პარმა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | იუვენტუსი-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ინტერი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | სამპდორია-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ლაციო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | მალიორკა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ბეტისი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | სოსიედადი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | მურსია-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | მალაგა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ვილიარეალი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ესპანიოლი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | რეალი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | დეპორტივო-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | არსენალი-ჩარლტონი | 2,1 | 1,55 |
| 5211 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5212 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 5213 | ფულემი-მანჩესტერი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 5215 | სიტი-ჩელსი | [illegible] | 1,7 |
| 5216 | ლიდსი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 5217 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | შტუტგარტი-შალკე | 1,8 | 1,8 |
| 5219 | ბოხუმი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 5220 | კიოლნი-მიუნხენი | 1,85 | 1,75 |
| 5221 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 5222 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 1,75 |
| 5223 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 5224 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5226 | ჰანოვერი-ჰერტა | 2,1 | 1,55 |
| 5227 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 1.6 |
| 5228 | სიენა-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 5229 | ემპოლი-უდინეზე | 1,75 | 1,85 |
| 5230 | ლეჩე-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 5231 | პარმა-რომა | 1,85 | 1,75 |
| 5232 | იუვენტუსი-ანკონა | 2,1 | 1,5 |
| 5234 | პერუჯა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 5235 | ინტერი-ბრეშა | 1,95 | 1,65 |
| 5237 | სამპდორია-კიევო | 1.8 | 1,8 |
| 5238 | ლაციო-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 5239 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 5240 | ბეტისი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5241 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,85 | 1.75 |
| 5242 | მურსია-ოსასუნა | 1,7 | 1.9 |
| 5243 | მალაგა-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 5244 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5245 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,75 | 1,85 |
| 5246 | ესპანიოლი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 5247 | რეალი-სელტა | 2,2 | 1,5 |
| 5249 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,85 | 1,75 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.02 | 18.30 | 6001 | გერმანია ბლ (XXII) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 21.00 | 6002 | იტალია A (XXIII) | 23 და ნაკლები – 1,9 | 25 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 22.30 | 6003 | ესპანეთი Iდ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 20.15 | 6004 | საფრანგეთი Iდ (XXVI) | 21 და ნაკლები – 1,9 | 23 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 01.30 | 6005 | პორტუგალია სლ (XXIV) | 22 და ნაკლები – 1,9 | 24 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 23.00 | 6006 | ჰოლანდია Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 23.30 | 6007 | ბელგია Iდ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (28.02)**

| | |
|---|---|
| არსენალი | 1,1 |
| მანჩესტერი | 4,4 |
| ჩელსი | 10,0 |

**9002**
**გერმანია (28.02)**

| | |
|---|---|
| ვერდერი | 1,5 |
| ბაიერნი | 2,1 |
| შტუტგარტი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 25,0 |

**9003**
**იტალია (28.02)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,4 |
| რომა | 4.0 |
| იუვენტუსი | 5,0 |

**9004**
**ესპანეთი (28.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,05 |
| ვალენსია | 5,0 |
| დეპორტივო | 8,0 |

**9005**
**საფრანგეთი (28.02)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,25 |
| ლიონი | 3,2 |
| პსჟ | 6,0 |

**9006**
**პორტუგალია (28.02)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,01 |
| სპორტინგი | 10,0 |
| ბენფიკა | 30,0 |

**9007**
**ჰოლანდია (29.02)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,02 |
| პსვ | 6,5 |

**9008**
**ავსტრია (28.02)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,5 |
| რაპიდი | 3,5 |
| გრაცერი | 4,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (28.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 15,0 |

**9011**
**უკრაინა (07.03)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9022**
**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8,0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერი | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,0 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 12,0 |
| დალასი | 12,0 |
| ბოსტონი | 18,0 |
| სან ხოსე | 18,0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| რეინჯერსი | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ატლანტა | 40,0 |
| მინესოტა | 40,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 40,0 |
| ანაჰაიმი | 50,0 |
| ნეშვილი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 100,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| ჩიკაგო | 150,0 |
| კოლამბუსი | 150,0 |
| პიტსბურგი | 200,0 |
| ვაშინგტონი | 200,0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,8 |
| საკრამენტო | 3,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 7,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 15.0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ფილადელფია | 60.0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| იუტა | 100,0 |
| პორტლენდი | 100,0 |
| სიეტლი | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| გოლდენ სტ. | 150,0 |
| კლიპერსი | 150.0 |
| ფინიქსი | 200,0 |
| მაიამი | 200,0 |
| კლივლენდი | 200,0 |
| ორლანდო | 300,0 |
| ატლანტა | 300.0 |
| ვაშინგტონი | 300,0 |
| ჩიკაგო | 300,0 |

გუნდი ხან წააგებს, ხან მოიგებს, მაგრამ ბოლო დროს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უჩვეულოდ ბევრს აგებს. თაობათა და მწვრთნელთა ცვლამ ჯერ ვერ მოიტანა სიკეთე. წლევანდელ სეზონს მომავლის გუნდის შესაქმნელად იყენებს ახალი ნაკრების ახალი მწვრთნელთა ოთხეული, მაგრამ რამდენად გეგმაზომიერად მივიწევთ წინ? საკითხავი, აი, ეს არის. კითხვები დაგროვდა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძესთანაც. გეგიძეს ფაქტობრივად ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა, მის მიერ შერჩეულმა მწვრთნელებმა უნდა გაამართლონ, ეს პრეზიდენტის პასუხისმგებლობის და პრესტიჟის საქმეცაა და გარდა ამისა, გეგიძეს ადრე თუ გვიან (ალბათ გაზაფხულზე) ხელმეორედ მოუწევს საპრეზიდენტო არჩევნებში ბრძოლა, რაკი იანვრის არჩევნებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა

# ჩვენ შეგვიძლია მუშაობა

## ბიძინა გეგიძე დროს ითხოვს



[illegible] ფოტო

**— ნაკრების ბოლოდროინდელი თამაშით კმაყოფილი არ უნდა იყოთ.**

— სამწუხაროდ, ეს რეალობაა. მსოფლიოს თასის შემდეგ კლოდ სროელმა მიიღო გადაწყვეტილება, ნაკრების მწვრთნელობიდან წასულიყო. დაინიშნნენ ქართველი მწვრთნელები, რომლებმაც ახალი გუნდის კეთება დაიწყეს. პერსპექტივა არის, თანაც დიდი, მაგრამ ამას დრო სჭირდება.

**— თქვენ თქვით, რომ ამ მწვრთნელებს სანაკრებოდ დიდხანს ამზადებდით...**

— დიახ, ეს ასეა. ისინი სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში მუშაობდნენ და საკმაო გამოცდილებაც მიიღეს. ქართველ მწვრთნელთა შტატის მომზადება ჩვენ გეგმაში შედიოდა.

**— მაგრამ, ნაადრევი ხომ არ იყო მათი დანიშვნა?**

— ესეც დრომ მოიტანა. სორელის წასვლის შემდეგ მეტი ვერ ესწრებოდა. საერთოდ ვერ გამიგია, იმ ეგრეთ წოდებული „ოპონენტების", რომლებიც გვაკრიტიკებენ ქართველების დანიშვნის გამო. ადრე სწორედ ეს ხალხი გაიძახოდა, უცხოელი რად გვინდა, ქართველები აქ არ არიანო? ახლა კი საპირისპიროს ამბობენ. ეს ის ხალხია, მარტო ლაპარაკი რომ შეუძლიათ, თორემ საქმის კეთება არ იციან. სხვათა შორის, მედიამაც დიდი როლი ითამაშა სორელის წასვლაში. იმდენი აკრიტიკეთ, რომ... ძალიან კარგად მახსოვს, ზოგიერთმა ჟურნალისტმა სორელის მწვრთნელობის პირველი მატჩის შემდეგ მოითხოვა მისი წასვლა. ეს ხორვატიასთან მატჩის შემდეგ იყო. ზოგმა აგენტიც კი უწოდა. ისე, რატომ ადრე არ აკრიტიკებდით სორელს?

**— სორელს მაშინ ვაკრიტიკებდით, როდესაც გასაკრიტიკებელი იყო. თანაც ის არ დაგავიწყდეთ, რომ მედიამ რაგბის პოპულარიზაციაშიც ითამაშა დიდი როლი და ხშირად კავშირის გვერდითაც იდგა.**

— გეთანხმები და მითქვამს კიდეც, რომ ნაკრებს მსოფლიოს თასზე გასვლა მედიის დამსახურებაცაა, მაგრამ არაკომპეტენტური ხალხისგან კრიტიკა უსამართლობაა. გავედით მსოფლიოს თასზე. ზოგიერთმა ამით სპეკულირებაც დაგვაბრალა. და ვინ? მორაგბემ, რომელიც ვერ მოხვდა სამსოფლიოთასო ნაკრებში. მისი და კიდევ რამდენიმე მოთამაშის პოზიცია, განაწყენებული კაცის პოზიციაა და არაა ობიექტური. მსოფლიოს თასის შემდეგ მე დავრჩი ავსტრალიაში და იქ რაგბის საერთაშორისო საბჭოს უმაღლეს ჩინოვნიკებს შევხვდი. იცი, როგორ ვიყავი? ჯდა მტირალი წყლისა პირსაო, რომ ამბობენ, ისე. რომ შემატყვეს, ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, მირჩიეს, მოვლენები მიმელო არა როგორც მწვრთნელს, არმედ როგორც რაგბის კავშირის პრეზიდენტს. ანუ მე ვარ კავშირის მმართველი და დაწყებული საქმე უნდა გავაგრძელო.

**— ერთიც, სორელის წასვლას იმიტომ ითხოვდნენ, რომ მასზე უკეთესი მოსულიყო. არა მგონია, მსოფლიოს თასზე ნათამაშები ნაკრების მწვრთნელობას ბევრი კარგი სპეციალისტი არ დათანხმებულიყო...**

— მაშინ კითხვას შემოგიბრუნებ. შეიცვალა მთავრობის რაგბისადმი დამოკიდებულება? როდესაც მთავრობა რაგბის ერთ-ერთ პრიორიტეტად გაიხდის, რისი საფუძველიც უკვე არსებობს, მაშინ შევძლება უკეთესი სპეციალისტების მოწვევა. გარწმუნებთ, რომ მე და რაგბის კავშირის თითოეულ წევრს ჯერ კიდევ შეგვიძლია გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც წინ წაგვწევენ და არა უკან, თანაც პასუხს ვაგებ ყველანაირ გადაწყვეტილებაზე.

**— მაგრამ სარაგბო საზოგადოება აღარ გენდობათ...**

— რას გულისხმობ?

**— თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს. ოთხი წლის წინ უკონკურენტო იყავით, ახლა კი ხმების რაოდენობა ზუსტად გაიყო. თქვენმა კონკურენტმა მერაბ ანთაძემ 14 ხმა მიიღო, ისევე როგორც თქვენ. გამოდის, უწინდელივით აღარ გენდობიან.**

— მე ასე ვიტყვი: ჩემთვის ეს გამარჯვებას ნიშნავს. უკვე 9 წელია, რაგბის კავშირის პრეზიდენტი ვარ და ჩემმა კონკურენტმა ვერც ახლა შეძლო ჩემი დამარცხება. სხვათა შორის, კენჭისყრის შემდეგ დელეგატებს ვთხოვე, ხელმეორე კენჭისყრა მაშინვე მოეწყოთ, მაგრამ მეორე მხარემ, ანუ ოპონენტებმა ეს კატეგორიულად იუარეს და ხელახალი არჩევნების გამართვა გაზაფხულისთვის გადადეს.

**— რატომ?**

— არ ვიცი, ეს მათ ჰკითხეთ.

**— ახლახან რაგბის მხარდამჭერთა ლიგამ და საინიციატივო ჯგუფმა, მათ შორის რაგბის კავშირის გამგეობის წევრებმა, მოგმართეს, რომ ყრილობა, სადაც ხელახალი არჩევნებიც გაიმართება, ერთი თვის ვადაში ჩატარდეს.**

— არ ვიცი, რაზე მეუბნები.

**— კონფერენციაზე, რომელზეც თქვენდამი მიმართვა გააკეთეს.**

— მე არ ვყოფილვარ მიწვეული და არ ვესწრებოდი.

**— მაგრამ კავშირმა ხომ მიიღო ეს მიმართვა?**

— არა, კავშირში ეს მიმართვა არ მოსულა, პრესაში გამოქვეყნებულა... ასე რომ, არც მე და არც კავშირს არ მიგვიღია და რეაგირებაც არ მომიხდენია.

**— რამდენად უფლებამოსილია გამგეობა ყრილობის მოწვევა მოითხოვოს?**

— რომელი გამგეობა?

**— რაგბის კავშირის.**

— რაგბის კავშირის გამგეობა მხოლოდ ფურცელზე არსებობს. გამგეობა იმიტომ შეიქმნა, რომ კავშირი რეგისტრაციაში გატარებულიყო, თორემ გამგეობა ერთხელაც არ შეკრებილა. ამაშიც მე ვარ დამნაშავე?

**— გამგეობის წევრთა უმრავლესობა ამბობს, რომ თქვენ იგნორირებას უკეთებდით და მნიშვნელოვან საკითხებს არ უთანხმებდით.**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გამგეობა არ ფუნქციონირებდა. მისი ხუთი წევრიდან ორი კავშირში მუშაობდა, ერთი კი ახლაც მუშაობს. თუ რაიმე უნდოდათ, აქ არ იყვნენ, ეკითხათ და შევთანხმდებოდით. წინა ყრილობაზე რამდენიმე დელეგატმა აღნიშნა და მეც ვეთანხმები, რომ ეს პროცესი არ უნდა დაემსგავსოს იურიდიულ კაზუისტობას.

**— არჩევნებზე ფრე დაფიქსირდა და თქვენ ჯერ არ ხართ კიდევ ოთხი წლით არჩეული. ადრე თუ გვიან ხელახალი არჩევნები უნდა გაიმართოს.**

— ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა.

**—როდის აპირებთ ყრილობის მოწვევას?**

— შეიძლება ეს არც გახდეს საჭირო. მე მაქვს პროგრამა, რომლითაც უნდა გავაგრძელო მუშაობა, მაქვს ამბიციები კარგი გაგებით. თუ მთავრობამ რაგბი გახადა ერთ-ერთ პრიორიტეტად, ფინანსურადაც და მორალურადაც გვერდში დაგვიდგა, მაშინ აზრი ექნება მუშაობის გაგრძელებას, თუ არა და...

**— გადადგებით?**

— დიახ, მე არ მინდა დაქვეითებული ამბიციებით ვიმუშაო. სასწაული ერთხელ ხდება. მსოფლიოს თასზე გასვლით ეს უკვე მოვახერხეთ. თუ კიდევ მარტონი ვიქნებით, სასწაულს ველარ მოვახდენთ. ახლა სხვა ეტაპი იწყება და გვარიანი დახმარებაც გვჭირდება. ამიტომ ჯერ შევხვდები მთავრობის წარმომადგენლებს და გავაცნობ ჩემს პროგრამას. თუ გაიზიარებენ, მაშინ წამოვაყენებ ჩემს კანდიდატურას, თუ არა და გადავდგები და ხელახალი არჩევნები საჭირო აღარ იქნება.

**ბაჩო სვანიძე**



ბიძინა გეგიძე ნაკრების მწვრთნელთა ოთხეულის შედეგებზე პასუხისმგებლობას კისრულობს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

25 თებერვალი. ვერის ბაღი

**ბასკო 113:62 ქუთაისი**

36:10 27:16 22:22 28:14

ბასკო: დ. ბერიშვილი (21), ბ. ბერიშვილი (4), კვიმსაძე (6), ტუჯანი (10), ბერძენიშვილი (14); ი. ბერიშვილი (17), კეშელავა (9), იმნაძე (21), როდუნტა (11), მაისურაძე
ქუთაისი: შავლაყაძე (20), პირტახაი (4), კოლუაშვილი (8), ნიჟარაძე (16), 6. შანიძე (2); ცერცვაძე (4), მამისეიშვილი (2), ლოსაბერიძე (6), ცაგარეიშვილი
მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**სტუ 109:100 მაკაბი**

23:23 28:20 20:32 38:25

სტუ: მიქაძე (1), დავითულიანი (7), მარკოიშვილი (18), ახალკაცი (11), ჯაფარიძე (8); ხეცურიანი (30), ნიკოლაძე (15), ოგანესიანი (11), ლ. შანიძე (6), გაგნიძე (2)
მაკაბი: ნინოშვილი (29), ბადრიძე (18), წოწელია (19), ვაშაკიძე (17), სუხიშვილი (9); ტატუნაშვილი (8), ოთიურიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ გელოვანი

## დაფიქრდი, სანამ პატარაზე გაიწევ!
## ბასკომ ქუთაისს დაუყვავა

ამ ბოლო დროს „მოდაში" შემოვიდა ძლიერი გუნდებისგან სუსტების დაბრიყვება და ამ გზით ახალ-ახალი რეკორდების დამყარება. ამ საქმეში ანგარიში წლეულს „ბასკომ" გახსნა, როცა ბათუმში სსუ 78 ქულით დაამარცხა, მერე კი „დინამომ" მოხსნა ეს რეკორდი — „ქუთაისი" 94 ქულით გაანადგურა. რეკორდი ხომ იმისაა, რომ დაემხოს და საამისო ნიადაგი გუშინ ისევ „ბასკომ" მოამზადა იმავ „ქუთაისთან", როცა პირველი ტაიმის ბოლოსკენ 40-ქულიან უპირატესობას მიაღწია, მაგრამ...

რეკორდების ჩახრამუნება კარგი რამაა, მაგრამ თუ მთავარ საქმეში შეგიშალა ხელი, წყალსაც წაუღია ყველა რეკორდი. „ბასკო" „დინამოსთან" საომრად ჩამოვიდა თბილისში და არა ისედაც ბეჩავი „ქუთაისის" გასაპამპულებლად. თუმცა კარგად დაიწყეს და გვარიანი ჰანდიკაპიც მოიპოვეს საპირველტაიმოდ, მაგრამ ბათუმელები იმის ჩიტები არ იყვნენ, რეკორდს გამოკიდებოდნენ, ქუთათურებთან არაფრისმომცემ თამაშში დახარჯულიყვნე და მეორე დღეს ლასლასით გასულიყვნენ „დინამოსთან" სათამაშოდ. ჰოდა, ზღვისპირელთა მესაჭემ ნუგზარ კანდელაკმა აფრების დაშვება ბრძანა, „ბასკომ" სვლას უკლო და „მოკრძალებული" ანგარიშით, 113:62 დაამარცხა დინებაზე მიშვებული რიონისპირელები.

საინტერესოს უფრო მეორე მატჩში ნახავდით, „მაკაბიმ" გვარიანად ანერვიულა „სტუ-ჯეოსელი". კვირას „დინამოსთან" ომგადახდილი ტექნიკოსები ეტყობა, ფიქრობდნენ, „მაკაბისთან" გავისეირნებთო, მაგრამ მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობისთვის კინაღამ დაისაჯნენ.

თამაში დათქმულზე სამიოდ წუთით ადრე დაიწყო და მაკაბელთა ბევრი საქმის ერთდროულად მკეთებელი მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი დარბაზში რომ შემოვიდა, მისი გუნდი 6:13 აგებდა. ხუხაშვილმა უმალ დაიკავა მთავარი მწვრთნელის ადგილი და წუთშესვენებით გამოაფხიზლა თავის შეგირდები.

მაკაბელებმა თავი გამოიდეს და ჯერ ანგარიში გაათანაბრეს და გოჩა წოწელიას ორქულიანის შემდეგ პირველი ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ კიდეც.

ხუხაშვილის ბიჭები მცირე შესვენების შემდეგაც არ შემდრკალან. ზურაბ ბადრიძისა და სოსო ნინოშვილის სიზუსტის წყალობით მეორე მეოთხედის შუაწელში 10-ქულიანი უპირატესობა მოიხელთეს — 34:24. აქ კი აივსო ტექნიკოსთა თავკაცის ნუგზარ ჭეიშვილის მოთმინების ფიალა, მოედანზე ტანმაღალი არმენ ოგანესიანი შეუშვა და პრესინგი მთელ მოედანზე ბრძანა. შედეგად სტუ-მ 10:0 მოიგო წუთნახევარი და ყველაფერი ახლიდან დაიწყო.

საბოლოოდ რომ ტექნიკოსები გაიმარჯვებდნენ, ყველა დარწმუნდა, მაგრამ ამის გამფიქრებელს ცოტა დაეჭვება მოუწევდა მესამე მეოთხედში, როცა „მაკაბის" უკანახაზელებს სამქულიანების მადა გაეხსნათ და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 4 ქულით დაწინაურდნენ. მაგრამ განახლდა მატჩი და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა — ტექნიკოსთა ფეხმარდმა უკანახაზელებმა სწრაფი გარღვევებით ხომ აატალახეს „მაკაბის" სამწამიანი, ხელი არც პერიმეტრიდან მოსცარვიათ და სირენამდე ხუთიოდ წუთით ადრე ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

**ირაკლი პერტაია**

26 თებერვალი. ვერის ბაღი

## დინამო VS ბასკო
## რას აიფარებს „დინამო"?
## ჩემპიონს სიმაღლემ მოაგლიჯა

ეროვნულ ჩემპიონატში ახლა ოთხი ისეთი გუნდია, ხელაღებით ერთსაც ვერ გამოაცხადებ უპირობო ლიდერად, მაგრამ სულ სხვა ხიბლი და ინტრიგა ახლავს ორი მათგანის „ბასკოსა" და „დინამოს" დაპირისპირებას. ამ გუნდებმა ითამაშეს შარშანდელ და შარშაწინდელ ფინალში და ისინი ხვდებიან დღეს ვერის ბაღში. ბათუმელებს ორივე საამსეზონო მატჩი მოგებული აქვთ თბილისელთათვის და თუ დღესაც იმარჯვებენ, რეგულარული ჩემპიონატის ლიდერებად ივლიან ალბათ პლეი ოფამდე...

„ბასკო" პირველად თამაშობს პრინციპულ მეტოქესთან თბილისში და წინასამატჩო პრესკონფერენციაზეც პირველად ვარ — თქვა ბათუმელთა თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" — პირველივე პრინციპულ მატჩში „დინამოს" ვხვდებით, რომელთანაც შარშან ფინალი წავაგეთ. მგონი ამით ყველაფერია ნათქვამი ამ მატჩის პრინციპულობაზე, თანაც ახლა, ისეთი სატურნირო ვითარებაა შექმნილი, რომ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს. თუ მოვიგებთ, „დინამოს" სამი წაგებით ჩამოვიტოვებთ და ასეთ უპირატესობას, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პლეი ოფამდე დარჩენილ ერთ წრეში არ გავანიავებთ.

პრესკონფერენციაზე არ მოსულა „დინამოს" ორი მოწინავე მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი და ზურაბ ტომარაძე, მათმა დამხმარე დავით უსტიაშვილმა კი ძირითადად ტრავმებზე ისაუბრა, ასე რომ მოსძალებია დღეს „დინამოს"...

„არ ითამაშებს კოტე ტუღუში, რომელმაც სტუ-სთან ფეხი მოიტეხა. ალბათ არ იქნებიან ასევე ტრავმირებული ვახტანგ მინაშვილი და ვალერი კილაძე. გრიპი აქვს დავით მუშკუდიანს და მისი თამაშიც საეჭვო... ... 

თუოა სხვალინდელ მატჩში..."

„დინამოს" ისედაც არ ულხინს ფარქვეშ და ტრავმირებულთა ამბავი რომ შეიტყო, „ბასკოს" მწვრთნელმა იქვე „გახსნა კარტები", სამწამიანიდან შეგიტევთ და თქვენს სნაიპერებს სამქულიანების სროლის საშუალებას არ მივცემთო, უსტიაშვილის მისამართით, ოღონდ ჟურნალისტების გასაგონად თქვა კანდელაკმა. ეს ზოგადად, თორემ რასაც ვიზამთ, ხვალ მოედანზე გამოჩნდებაო, დასძინა „ბასკოს" თავკაცმა.

აღდგომა და დღესო...

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 19 | 17 | 2 | +517 | 36 |
| დინამო | 20 | 16 | 4 | +454 | 36 |
| სტუ | 19 | 15 | 4 | +333 | 34 |
| თსუ | 19 | 11 | 8 | +94 | 30 |
| რუსთავი | 19 | 10 | 9 | +100 | 29 |
| მაკაბი | 19 | 6 | 13 | -147 | 25 |
| სსუ | 19 | 2 | 17 | -511 | 21 |
| ქუთაისი | 20 | 0 | 20 | -830 | 20 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

24 თებერვალი

**ორლანდო 91:94 პორტლენდი**

ძირითადი დრო 83:83

ორლანდო: ლუ (2), სტივენსონი (8), მაკგრეიდი (31), ჰოვარდი (10), პანტერი (11); სტრიკლენდი (12), ბოგანსი (9), რუქსი (4), გუდენი (2), პენიჯარი (2)
*ფაჩულია სათადარიგო იყო*
პორტლენდი: სტუდემაიერი (17), ანდერსონი (18), აბდურ-რაჰიმი (14), რენდოლფი (24 ქულა, 12 მოხსნა), რეთლიფი (4 ქულა, 9 დაფარება, 8 მოხსნა); პატერსონი (9), დევისი (2), დიკაუ (2), ვუდსი (2), მაილზი (2)
*სტეფანია სათადარიგო იყო*

**ნიუ ჯერსი 86:74 ტორონტო**

ნიუ ჯერსი: მარტინი (25), კიდი (17)
ტორონტო: მეისონი (18)

**სან ანტონიო 86:77 ჰიუსტონი**

სან ანტონიო: დანკანი (27 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), პარკერი (21), თურქოღლუ (17)
ჰიუსტონი: მინგი (20), ფრენსისი (16)

**მილუოკი 102:108 მინესოტა**

მილუოკი: ვან ჰორნი (25), რედი (25)
მინესოტა: კასელი (29), სპრიუელი (23), გარნეტი (16 ქულა, 18 მოხსნა, 6 პასი)

**საკრამენტო 107:99 ნიუ იორკი**

საკრამენტო: ბიბი (29), სტოიაკოვიჩი (27)
ნიუ იორკი: ტომასი (33)

**ინდიანა 107:96 გოლდენ სტეიტი**

ინდიანა: ონილი (34)
გოლდენ სტეიტი: დამპიე (22), რიჩარდსონი (18)

**ატლანტა 86:75 ფილადელფია**

ატლანტა: ჯეკსონი (24 ქულა, 14 მოხსნა)
ფილადელფია: სნოუ (17)

**დალასი 116:91 კლიპერსი**

დალასი: უოლკერი (21), ფინლი (20)
კლიპერსი: მეჯიტი (21), საიმონსი (16)

**იუტა 98:86 სიეტლი**

იუტა: კირილენკო (27), აროიო (23), ბელი (23)
სიეტლი: ალენი (26), დანიელსი (22)

## რა ფერისაა ფრენკი?
## მგლებთან გამოჩნდება

ამრევები მოიშორა „პორტლენდმა" და საქმეც დაიძრა. ველსის, მაკინისისა და სულ ბოლოს მთავარი გადარეულის რაშიდ ვოლესის გაცვლის შემდეგ ვოვა სტეფანიას გუნდს ბევრად უკეთ წაუვიდა საქმე. მოგებები გახშირდა და მართალია, ჯერ არ დაფრინავს, მაგრამ მოგება-წაგებების გასაყარ ზედაპირზე მაინც ამოყვინთა „ბლეიზერსმა".

სტეფანია კი — თავადაც კარგა ხნის წინ შეამჩნევდით — გაჩერებულ მატარებელში ზის და მწვრთნელ მორის ჩიქსის ნიშანს ელის, ნიშანი კი აგვიანებს. ჩიქსმა ვოლესის მაგივრად ლიგის ერთ-ერთი უმარჯვესი ცენტრ-დამფარებელი თეო რეთლიფი მიიღო და სტეფანიასაც მისი შემცვლელის შემცვლელის სტატუსთან შეგუება მოუწევს.

„ქართულ" დერბიში არც სტეფანიას უთამაშია და არც ზაზა ფაჩულიას. ფაჩულიასაც შეუფერხდა წინსვლა და არა მარტო ობიექტური მიზეზების გამო. მას კარგი შანსი მიეცა, ვერ გამოიყენა და ახლა სტივ ჰანტერზე უკან დაყენებულს ბებერი ახალწვეულის შონ რუქსის კონკურენციის დაძლევაც უხდება.

„ორლანდო" „პორტლენდს" მასპინძლობდა და ორივე ახმახი ქართველი იმ მატჩს მხოლოდ მაყურებლად ესწრებოდა 4 მეოთხედიც და მერე ერთი დამატებითი ხუთწუთეულიც. „ორლანდომ" მოსალოდნელზე უკეთ ითამაშა და სათადარიგო გამთამაშებლის (პირველმა გამთამაშებელმა ტაირონ ლუმ ვერ გაამართლა და ამიტომ მატჩს ის იწყებს და სხვა ამთავრებს) ვეტერანი როდ სტრიკლენდის სამქულიანის შემდეგ დამატებით დროში ბრძოლის უფლება მოიპოვა. სხვათა შორის, ლიგის მაჩანჩალა „ორლანდო" ოვერტაიმების ოსტატად ითვლება, მანამდე სამიდან სამი ოვერტაიმიანი თამაში მოეგო, თუმც ახლა არ გაუმართლა, პორტლენდელ დერიკ ანდერსონმა მაინცდამაინც ახლა გამოიღო ხელი და 18 ქულიდან 8 დამატებით დროში მოინადირა. „პორტლენდმაც" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო და დასავლეთში მერვეადგილოსან „დენვერთან" ჩამორჩენა შეამცირა.

გრძელდება ლოურენს ფრენკის სასწაულებრივი სერია. „ნიუ ჯერსი ნეთსის" პატარა (ასაკითაც, სიმაღლითაც) მწვრთნელმა „ტორონტოსთანაც" მოიგო და სადებიუტო გამარჯვებების ისედაც სარეკორდო ოდენობას ერთიც დაამატა. მოქცევას მიქცევა მოჰყვა და პრესა, რომელიც აქამდე წარმატებული ახალბედას ქებით იყო დაკავებული, ახლა მიზეზების გამოჩხრეკას იწყებს — გამარჯვებები ნამეტანი ებევრა ელბათ. აი, ერთი ასეთი მიზეზიც, რომელსაც იქაურმა მიმომხილველებმა „მიაგნეს" — ფრენკმა 13 თამაშიდან 9 ისეთ გუნდს მოუგო, რომელსაც მოგება-წაგებების უარყოფითი ბალანსი აქვს, ანუ სუსტები არიან. ამიტომაც, ახლა ყველა „ნიუ ჯერსის" მძლავრ „მინესოტასთან" შეხლას ელოდება, ფრენკის ნაღდი შნო და უნარი იქ გამოჩნდებაო.



REUTERS
ლოურენს ფრენკს მოთამაშეებამდე აზრის მიტანა არ უჭირს

პრესის საქმეც ესაა, მეტოქეები საბრძოლველად გაალიზიანოს, მოთამაშეები კი ამას შედარებით უდრტვინველად უყურებენ. „ნიუ ჯერსის" ლიდერი ჯეისონ კიდი — „ყველა ისე გვაქეზებს, თავი პლეი ოფის სერიის მეშვიდე მატჩის წინ გასახდელში მგონია. არა, ძმებო, ახლა არ წყდება ჩვენი ბედი. ჩვენ ვითამაშეთ დღეს, „მინესოტამაც" ითამაშა და ხვალ საღამოსთვის ისე ვერ დავისვენებთ, დიდი შოუ გაჩვენოთ."

ეს მატჩი კი წუხელ ღამით გაიმართა.

**კოტე ყორშია**

ჩოგბურთი



# გუგა თავის თიხაზეა

## მოიას მოევლო, მასუც გაისუსა

**OPEN 13**
მარსელი. ჰარდი
საპრიზო 593 750 $

**პირველი წრე**

**ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (3, ტაილანდი) 1:6, 6:3, 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 4:6, 7:6 (7:5) კუჩერამ შეწყვიტა; **არნო კლემანი** (7, საფრანგეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:2, 6:7 (4:7), 6:4; **მარატ საფინი** (8, რუსეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) 4:6, 6:4, 7:6 (7:2); **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:5, 7:6 (7:4)

პარადორნ შრიჩაფანმა საპირველწრეო მატჩის მოგება ერთი კვირის წინ ვერც როტერდამში შეძლო და, როგორც ზემორე ანგარიშებიდანვე შეიტყობდით, ამის გაკეთება არც მარსელში გამოუვიდა. მართალია, ესპანელ მარტინს პირველი სეტი იოლად წააგვარა, მომდევნოებში უფრო მარდად და უფრო მძლავრად მოგლაჯუნე ევროპელის უპირატესობა აშკარა იყო.

დამაჯერებლად გაირჯა რუსი გოლიათი მარატ საფინი, ვინაც უსახელო გერმანელ კვალიფიკანტ ფლორიან მაიერს — იმის მიუხედავად, რომ მეორე სეტში კოჭი გადაიბრუნა და გადახვევა მოუხდა — საათზე მხოლოდ შვიდი წუთით მეტი მოანდომა.

მასპინძელთაგან ჩოგნები მყისვე დააშალითებინეს ხუთი წლის წინანდელ ჩემპიონ ფაბრის სანტოროსა და ორი წლის წინანდელ ფინალისტ ნიკოლა ესკუდს. სანაცვლოდ გაივაკა სანტოროსთან იმ ფინალში დამარცხებულმა არნო კლემანმა, ვინაც კორტზე ეს-ესაა ისევმობრუნებულ გორან ივანიშევიჩს აჯობა.

ივანიშევიჩი, ორი კვირის წინ მილანობაზე მეორე წრეს რომ უწია, ხოლო წინა კვირის როტერდამობაზე პირველსავე წრეში ჩაფლავდა, სასურველი ფორმისგან ჯერ ძალზედ შორსაა და არავინ არის დარწმუნებული, რომ ამ ფორმის მიღწევას ის ოდესმე კიდევ შეძლებს.

**ბრაზილიის ღია პირველობა**
კოსტა დუ საუიპე. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

**პირველი წრე**

**ტომას ბერენდი** (გერმანია) — კარლოს მოია (1, ესპანეთი) 6:3, 6:3; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ნიკოლას მასუ (2, ჩილე) 6:4, 6:2; **გუსტავო კუერტენი** (3, ბრაზილია) — ოსკარ ფერნანდესი (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:3; **აგუსტინ კალიერი** (4, არგენტინა) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:1, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (8, არგენტინა) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:2, 6:2

სრულიად მოულოდნელად ტურნირის ორ პირველგანთესილ კაცს ჩოგნები პირველსავე წრეში დააყრევინეს. კარლოს მოიამ, ვინაც წლეულს სამ ტურნირზე ითამაშა და სამივეგან ფინალში გავიდა, მეორე პირადი შეხვდა დათმო უსახელო გერმანელ ტომას ბერენდთან. ნიკოლას მასუმ კი წინა კვირაში ბუენოს აირესში ამოეიტიპიებულ 19 წლის არგენტინელ ხუან მონაკოსთან ჩაიფლავა. ამ მონაკომ, ეგებ თქვენც დაიმახსოვრეთ, მშობლიურ ტურნირზე ნიკოლას ლაპენტისა და ხუან იგნასიო ჩელას სძლია და მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ გილერმო კორიასთან წააგო.

გაიმეორწრევა გუსტავო კუერტენმა, ვისაც კოსტა დუ საიუპეში ორი წლის წინ, ოღონდ მაგარსაფარზე უპირველია. გუგა თავის მე-20 საკარიერო ტიტულს დაეძებს და ბარემ აქვე გეტყვით, რაგინდარა თიხნარტურნირი 2001 წლის შემდეგ აღარ აუკლია. იმ სეზონში მან ხუთ სათიხნარო ჯილდოს მოუყარა თავი, რომელთაგან ყველაზე მსხვილი პარიზში ნაშოვნი მესამე როლანგაროსული ტიტული იყო.

**ლევან ბელაურაძე**

ჰოკეი

**რეგულარული ჩემპიონატი**

# ერთი სედინის დღე

## ნახევარძმამ ოთხი შეაგდო

— 24 თებერვალი —

**ვანკუვერი 4:2 დეტროიტი**
*1:1 1:1 2:0*

1:0 დ. სედინი (13), 1:1 ზეტერბერგი (18), 1:2 დრეიპერი (27), 2:2 დ. სედინი (30), 3:2 დ. სედინი (54), 4:2 დ. სედინი (60)

სამშაბათს ვანკუვერში სედინის დღე იყო, უფრო კონკრეტულად, დანიელ სედინის. იცით, კანადურ კლუბში ტყუპი ძმები რომ თამაშობენ — დანიელი და ჰენრიკი. ჩვეულებრივ, როგორც ტყუპებს სჩვევიათ, ისინი ერთდროულად გამოირჩევიან ხოლმე. მით უმეტეს, რომ ერთ სამეულში გამოდიან. ამჯერად სხვაგვარად იყო. 15 წუთის განმავლობაში დანიელმა მარტო თავისი ძმა კი არა, ორივე გუნდის მოთამაშეები დაჩრდილა და ერთგვარი სოლო კონცერტის დარი სანახაობა გამართა. მასპინძელთა ოთხივე გოლი მის ანგარიშზეა, მათ შორის ორი კი ნამდვილი შედევრი გამოდგა. ჯერ იყო და დანიელმა ისე შეუმჩნევლად დაახვედრა შაიბას ყვანჯი, რომ მის მეურვეს, გამოცდილ ნიკლას ლიდსტრიომსაც კი გამოეპარა. „დეტროიტის" მეკარე მენი ლეგასიც გაოგნდა. ეს მატჩის პირველი გოლი იყო. მეორე შედევრის წყალობით უმცროსმა სედინმა მატჩის ბედი გადაწყვიტა. იგი მეტოქის ზონაში უსწრაფესად შეიჭრა, მცველი ჩამოიცილა და ისეთი მომენტი შერჩია დარტყმისთვის, რომ ლეგასი კვლავ უძლური აღმოჩნდა. ასე შეასრულა შვედმა კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი, თუმც არც ამის შემდეგ მოისვენა და მეოთხეც გაიტანა, ოღონდ ცარიელ კარში, როცა სტუმრებმა მეკარე მეექვსე მოთამაშეზე შეცვალეს.

„არც კი ვიცი, როგორ გამომივიდა ყველაფერი. ჰენრიკისგან მივიღე შაიბა, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, დავარტყი და იგი კარში აღმოჩნდა" — თავმდაბლურად ამბობდა დანიელი მატჩის შემდეგ.

„ვანკუვერმა" პირველად მოიგო მას შემდეგ, რაც გუნდის ლიდერი მარკუს ნესლუნდი დაუშავდა.

**მონრეალი 4:2 ოტავა**
*1:1 0:1 3:0*

0:1 ჰავლატი (7), 1:1 რაიდერი (8), 1:2 ფიშერი (40), 2:2 რაიდერი (46), 3:2 ბეგინი (60), 4:2 ჟიუნო (60)

**კოლორადო 0:2 კალგარი**
*0:0 0:0 0:2*

0:1 ჟელინა (58), 0:2 კლარკი (60)

**აილენდერსი 0:0 ბოსტონი**

**ფილადელფია 3:1 ჩიკაგო**
*0:0 2:0 1:1*

1:0 ჟამნოვი (24), 2:0 კაპანენი (37), 2:1 ნიკოლი (48), 3:1 ლაპოინტი (60)



დანიელ სედინის (შუაში) თანაგუნდელები მეოთხე გოლს ულოცავენ

# ძველი დიდებისა ბავშვებს მოუყევით

## მწვრთნელებს აწმყო არ შეარჩინეს

მწვრთნელების დათხოვნა ლიგაში იშვიათი მოვლენაა, სამშაბათს, 24 თებერვალს კი ერთბაშად ორ თავკაცს მოუხდა პოსტის დატოვება. თან ისეთი სპეციალისტები გაათავისუფლეს, რომელთაც გარკვეული დამსახურება ჰქონდათ ამ გუნდების წინაშე. მაგალითად, ბობ ფრენსისი მესამე სეზონია, თავკაცობდა „ფინიქსს" და შარშან საკმაოდ მოულოდნელად გაიყვანა აღმშენებლობის პროცესში მყოფი გუნდი პლეი ოფში. ბოლო 14 თამაშში მხოლოდ ორი მოგება არ აპატიეს ფრენსისს და მისივე ასისტენტმა რიკ ბოუნესმა შეცვალა იგი.

„ფრენსისი კარგი მწვრთნელია, მაგრამ ბოლო ხანებში საქმე არ მისდიოდა" — თქვა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა მაიკლ ბარნეტმა.

ამ სეზონში „კოიოტებმა" შეცვალეს საკლუბო ემბლემა, ფორმა, ახალ არენაზეც გადაბარგდნენ და აი, უკვე თავკაციც ახალი ჰყავთ...



ჟოელ კენევილი

ჟოელ კენევილს კიდევ უფრო მეტი ღვაწლი მიუძღვის „სენტ ლუისის" წინაშე. მე-8 სეზონია, იგი გუნდს თავკაცობდა და ერთხელ არ გამოუტოვებია პლეი ოფი. თუმც როგორც კი „ბლუზმენებს" სათასო ბრძოლებს მიღმა დარჩენის საშიშროება შეექმნათ (სხვათა შორის, ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველად), კენევილს კარისკენ მიუთითეს. მთავარი მწვრთნელი აქაც მისმა ასისტენტმა, მაიკ კიტჩენმა შეცვალა.

მთლიანობაში ეს მე-6 და მე-7 ცვლილებაა ამ სეზონში.

კრივი

# ათენში ორი ქართველი იჭრიჭება

## სალიცენზიოდ კუპატაძემაც მოიქნია

ხორვატიულ პულაში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე სამი დღე რჩება, თუმც მედალოსანთა და ათენის ოლიმპიადის ლიცენზიოსანთა უმეტესობა უკვე გარკვეულია.

ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრებიდან ათენის საგზური პირველმა ფოთელმა ნიკა იზორიამ (51 კგ) გუშინწინ მოიპოვა. გუშინ კი თბილისელმა კონსტანტინე კუპატაძემაც (57 კგ) შეძლო ნახევარფინალში გასვლა. მეორე წრეში ტიტულებით დახუნძლული რუსთა იმედის, მალახბეკოვის გამლახავმა ქართველმა ამჯერად პოლონელი კრიშტოფ შჟოტი ორ რაუნდში დაამარცხა.

ორი მეოთხედფინალისტი ქართველი ჟვანია და ბერკაცაშვილი კი მსოფლიოს ჩემპიონებს გადაეყარნენ. კახაბერ ჟვანიამ (64 კგ) ფრანგ ვილი ბლენთან ბოლომდე კი რბრძოლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მალხაზ ბერკაცაშვილისა (69 კგ) და ოლეგ საიტოვის ბრძოლა კი სამ დაუნდში, რუსის აშკარა უპირატესობით დასრულდა.

დღეს პულის რინგზე, წონებით მეოთხედფინალისტები ავლენ. იზორია და კუპატაძე კი ფინალში გასასვლელად ხვალ-ზეგ იჩხუბებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# დუბაის ქალები

დუბაიში გახურებულ ქალ ჩოგბურთელთა ტურნირზე არაბული ხიბლი და გემო ბევრია. შეჯიბრის დირექტორი სალეჰ ტალაკი ტრადიციულ არაბულ სუნამოს აყნოსინებს ბელგიელ ჟუსტინ ენენ-არდენსა და ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატის. იქვე ხალისიანი ვინუს უილიამსი პალესტინელ დეიდას ეპასუხება, ეგებ სუნამოების თაობაზეც. ტურნირის სპონსორი უგადასახადო მაღაზიების ქსელია და შეყნოსვაც დუბის აეროპორტის „დიუთი ფრის“ მაღაზიაში მიმდინარეობს.



# ალის თარიღი

25 თებერვალს 40 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მუჰამედ ალიმ (მაშინ კასიუს კლეიმ) [illegible] იგრივა მძიმე წონის ჩემპიონის ტიტულისთვის და მაშინ უძლეველი სონი ლისტონი დაამარცხა. ამ ორთაბრძოლას იმ დროს ხმაური და ეჭვები მოჰყვა, დღეს კი ალი თავისი „კარიერის უმნიშვნელოვანეს მატჩად“ მოიხსენიებს.





# ჩემპიონების მიღება

ტუნისმა აფრიკის საფეხბურთო თასს უმასპინძლა და თავისთანაც დაიტოვა. ქვეყნის გახარებულმა პრეზიდენტმა ზინე ალ-აბიდინ ბენ ალიმ (მარცხნივ) მთელი ნაკრები კართაგენის საპრეზიდენტო სასახლეში მიიღო და ამაყ კაპიტან ხალედ ბადრასვან თასიც მიიღო.

# ნადირობის წინააღმდეგ

ვატერლოოს თასი ძველი სანადირო შეჯიბრია, რომელიც მერსისაიდში იმართება ხოლმე. წლეულს თასი 158-ედ გათამაშდება, ეს კია, რომ ბრიტანეთის ცხოველთა დამცველები სულ უფრო მეტად ილაშქრებენ ცხოველთა ჩაგვრის წინააღმდეგ და ძაღლების ხელში ჩავარდნილი საბრალო კურდღლების დაცვას ლამობენ.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge